



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„30“ „10“ 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს მთავრობის კანცელარიის (2014 წლის 1 დეკემბრიდან მთავრობის
ადმინისტრაციის) 2011-2012-2013 -2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

62/00

1.	შესაბამისობის აუდიტის საფუძვლები.....	3
2.	შემოკლებები.....	5
3.	ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	5
4.	მნიშვნელოვანი შედეგები	7
5.	გამოვლენილი გარემოებები.....	9
5.1	მივლინების ხარჯები.....	9
5.2	რეკლამის ხარჯები.....	9
5.3	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები (კოდი 282118).....	10
5.4	სალაროს და ბანკის ოპერაციები	111
5.5	დებიტორ - კრედიტორები	12
5.6	საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს N46-სს განკარგულება.....	13
5.7	სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა (კოდი 4912)	13
5.8	შესყიდვები	20
5.9	ავტომანქანების ჩანაცვლება.....	20
5.10	საწვავის ხარჯები	22
5.11	ძირითადი აქტივები	255
5.12	ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები.	277

1. შესაბამისობის აუდიტის საფუძვლები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს მთავრობის კანცელარიის (მთავრობის კანცელარია) ფინანსური ოპერაციებისა და იმ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელიც ასახულია 2011, 2012, 2013 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა მთავრობის კანცელარიის მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდაორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, მთავრობის კანცელარიის საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი

ქვემოთ მოყვანილია იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც შემოწმდა მთავრობის კანცელარიის საქმიანობის შესაბამისობა:

- „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2011-2012-2013-2014 წლების საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება;
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება;
- „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულება;
- „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის №55 დადგენილება;

- „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბერის №439 ბრძანება;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე „საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის №49 ბრძანება;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; კანცელარიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე. პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული კანონშეუსაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მთავრობის კანცელარიის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულება და ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“.

„ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების უკეთ გაგებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. აუდიტის ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიშში ახსნილი უარყოფითი გავლენები, შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს ყველა იმ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ აღვნიშნავთ, რომ აუდიტორი არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ შესაძლო უარყოფითი შედეგების ანგარიშში ასახვაზე, რომელიც მის მიერ ანგარიშში დაფიქსირებული აღმოჩენილი ნაკლოვანებებიდან შესაძლოა გამომდინარეობდეს.

2. შემოკლებები

- საქართველოს მთავრობის კანცელარია (2014 წლის 1 დეკემბრიდან - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია) - მთავრობის კანცელარია;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ეკონომიკის სამინისტრო;
- ფინანსთა სანინისტროს სახაზინო სამსახური - სახაზინო სამსახური;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი - პრემიერ-მინისტრი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - სარეზერვო ფონდი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ - საბიუჯეტო კოდექსი;

3. ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მთავრობის კანცელარია. კანცელარიას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო მთავრობის კანცელარიის მიმდინარე საქმიანობას უძღვება მთავრობის კანცელარიის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. მთავრობის კანცელარიას 2009 წლის 18 თებერვლიდან - 2012 წლის 9 ივლისამდე ხელმძღვანელობდა - დავით კერესელიძე, 2012 წლის 9 ივლისიდან - 2012 წლის 12 ნოემბრამდე - ოთარ გოგოძე, ხოლო 2012 წლის 12 ნოემბრიდან დღემდე - მთავრობის კანცელარიას ხელმძღვანელობს - მაია ცქიტიშვილი. მთავრობის კანცელარია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით, პრემიერ - მინისტრის ბრძანებებით და მთავრობის კანცელარიის დებულებით. მთავრობის კანცელარია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

- საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის პირობების შექმნას;
- პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობის ინფორმაციულ და ანალიტიკურ უზრუნველყოფას;
- პრემიერ-მინისტრის ურთიერთობას საქართველოს პარლამენტთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და სხვა ინსტიტუტებთან;
- პრემიერ-მინისტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საპროტოკოლო ღონისძიებათა კოორდინაციას;
- ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და პროგნოზული პარამეტრების ანალიზს, აღნიშნულის თაობაზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას და პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენას;

- სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზების ხელშეწყობას;
- რეგიონული პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საქართველოს მთავრობის ურთიერთობის კუთხით პრემიერ-მინისტრის საქმიანობის ხელშეწყობას;
- საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებას;
- საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების, პრემიერ-მინისტრის ბრძანებათა პროექტების მომზადებასა და სამართლებრივ ექსპერტიზას;
- კანონპროექტების მომზადებას;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს.
- საქართველოს მთავრობის კანცელარიაში 2011 წლის 23 თებერვლიდან ფუნქციონირებს საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი.

მთავრობის კანცელარიის ბიუჯეტის ასიგნებები და შესრულება წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი ცხრილების სახით:

2011 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	10,567,857	10,240,939	8,985,715
ხარჯები, მათ შორის:	9,280,483	9,184,256	8,985,715
შრომის ანაზღაურება	3,820,500	3,819,422	3,819,422
საქონელი და მომსახურება	4,739,883	4,700,174	4,529,245
სოციალური უზრუნველყოფა	75,000	28,893	28,893
სხვა ხარჯები	645,100	635,767	608,155
არაფინანსური აქტივები	1,287,374	1,056,683	

2012 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	30,571,145	29,432,024	12,367,804
ხარჯები	13,199,070	12,237,761	12,367,804
შრომის ანაზღაურება	5,071,900	4,794,512	4,794,512
საქონელი და მომსახურება	7,632,213	7,061,648	7,191,691
სოციალური უზრუნველყოფა	221,416	221,416	221,416
სხვა ხარჯები	273,542	160,185	160,185
არაფინანსური აქტივები	17,372,075	17,194,263	

2013 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	12,358,113	11,136,679	10,260,298
ხარჯები	11,638,113	10,504,119	10,260,298
შრომის ანაზღაურება	4,920,500	4,502,926	4,502,926
საქონელი და მომსახურება	6,504,973	5,950,919	5,707,272
სოციალური უზრუნველყოფა	62,640	40,323	40,323
სხვა ხარჯები	150,000	9,950	9,950
არაფინანსური აქტივები	720,000	632,560	

2014 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	33,069,476	30,372,655	25,809,276
ხარჯები 26,501,675.71	26,501,676	25,071,704	25,809,276
შრომის ანაზღაურება 6,950,825.00	6,950,825	6,676,489	6,676,489
საქონელი და მომსახურება 19,276,727.71	19,276,728	18,315,976	18,226,811
სოციალური უზრუნველყოფა 120,123.00	120,123	52,197	51,794
სხვა ხარჯები 154,000.00	154,000	27,041	27,041
არაფინანსური აქტივები 6,567,800.00	6,567,800	5,300,951	

4. მნიშვნელოვანი შედეგები

ა) 2011 და 2012 წელს სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენმა მიმდინარე ხარჯებმა (კოდი 281118) სულ შეადგინა შესაბამისად 613,810 და 125,602 ლარი, რომელიც მთლიანად წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების საფუძველზე გაცემულ პრემიებსა და ჯილდოებს. მათ შორის პრემიებზე გაცემულია შესაბამისად 567,050 და 84,960 ლარი. პრემიებად გაცემული თანხების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის ბრძანებებში წარმოდგენილი საფუძვლები არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენ მიმდინარე ხარჯების“ (282118) მუხლით გათვალისწინებულ გაცემებს;

ბ) 2011, 2012 და 2014 წლებში სოციალური ქსელის „Facebook“-ის სარეკლამო მომსახურების დაფინანსების მიზნით გადახდილია შესაბამისად 109,809, 60,897 და 15,402 ლარი, რომელიც წარმოადგენს არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებას და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე და 166-ე მუხლების მიხედვით ექვემდებარებოდა დღგ-ით უკუდაბეგვრას, რაც არ განხორციელებულა;

გ) 2011 წელს ადგილი ქონდა ბანკომატების მეშვეობით საბანკო ანგარიშიდან ფულადი სახსრების განაღდებას, რაც ეწინააღმდეგება (2012 წლის 8 აგვისტომდე) „სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო

ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 15 თებერვლის N92 ბრძანების მოთხოვნას.

დ) 2012 წელს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში, სარეზერვო ფონდების გარდა, შექმნილი იქნა სარეზერვო ფონდის მსგავსი ფონდი (კოდი 49.12), რომლიდანაც პრემიებზე და ჯილდოებზე გაწეულია 4,292,320 ლარის ხარჯები. აღნიშნული 49.12 კოდიდან ასიგნებების ფორმალურ განმკარგავ საბიუჯეტო ორგანიზაციას წარმოადგენდა - ფინანსთა სამინისტრო, ხოლო ფაქტობრივ განმკარგავს - მთავრობის კანცელარია. ამასთან, მთავრობის კანცელარიის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგებაში, აღნიშნული კოდით განხორციელებული ხარჯები ასახული არ არის;

ე) 2012 წელს მთავრობის კანცელარიის შესაბამისი სამსახურების არაეფექტური მუშაობის შედეგად, ქ.თბილისში, ათონელის ქ. 25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებებით, დაგეგმილ ვადაში ვერ დასრულდა სამშენებლო სამუშაოები. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრისათვის კანცელარიის ბალანსზე დასრულებული შენობის ნაცვლად ერიცხებოდა: 13,463,597 ლარის ღირებულების დებიტორული დავალიანება შპს „არტესის“ მიმართ და 3,108,478 ლარის დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი;

ვ) საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2012 წლის 3 სექტემბერს გადარიცხულია 331,400 ლარი (200,000 აშშ დოლარი), რომლის საკასო და ფაქტიური ხარჯის მიზნობრივად გამოყენების დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის საიდუმლო ნაწილში).

ზ) 2012 წლის ივლის-ოქტომბერში კანცელარიის მიერ ადგილი ჰქონდა საწვავის ხარჯვას იმ მოცულობით, რომელიც სცილდება ნორმებისა და გონივრულობის ფარგლებს და წარმოადგენს საბიუჯეტო თანხების არაეფექტურ და არამიზნობრივ ხარჯვას.

თ) 2012 წელს კანცელარიის არაგონივრული ქმედებების შედეგად, ავტომანქანის შეძენის საჭიროების არარსებობის პირობებში, ავტომანქანების ჩანაცვლებაზე გამართივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებით ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ ხარჯვას. გარდა ამისა, აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდში ავტომომანქანის შესყიდვისას არ არის გათვალისწინებული „შესყიდვების ობიექტის აღწერასთან დაკავშირებით“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის რეკომენდაცია.

ი) 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში მთავრობის კანცელარიის მიერ არ არის ჩატარებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნა. შედეგად მთავრობის კანცელარიას ერიცხებოდა წინა წლების დებიტორულ დავალიანებები - 14,868 ლარის, ხოლო კრედიტორული დავალიანებები - 1,255 ლარის ოდენობით, რომლებსაც დებიტორი და კრედიტორი მხარეები არ ადასტურებენ. შედეგად, ვერ იქნა მოიპოვებული საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ნაშთების რეალობის შესახებ;

კ) 2012 წლის 31 დეკემბრისათვის კანცელარიის ფინანსურ ანგარიშგებაში და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული არ არის ათონელის ქ. N25-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართი. ასევე, 2014 წლის 31 დეკემბრისთვის,

მთავრობის კანცელარიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არ არის ასახული ქ.თბილისში გიორგი ლეონიძის ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები, ასევე, ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებული ქ.თბილისში თანასაკუთრებაში არასასოფლო სამეურნეო ფართზე მდებარე შენობა ნაგებობები.

ლ) 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არაფინანსური ძირითადი აქტივები ასახულია 42,009 ლარით გაზრდილი (გამორჩენილია ცვეთის დარიცხვა 241 ერთეულ ძირითად აქტივზე), ხოლო, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შედგენილ ფორმა 2-ში პირიქით, ხარჯებში - ძირითადი კაპიტალის მოხმარება შემცირებულია იმავე თანხით. რაც არ შეესაბამება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N436 ბრძანების მოთხოვნებს.

5. გამოვლენილი გარემოებები

5.1 მივლინების ხარჯები

2011 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით¹, მთავრობის კანცელარიისათვის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, სამთავრობო დელეგაციის თანმხლები ჟურნალისტების თვითმფრინავით მგზავრობის, სადღეღამისო და განთავსების ხარჯების ასანაზღაურებლად გამოიყო 4,800 ლარი. საკასო და ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 4,486.2 ლარი, რომელიც კლასიფიკაციის ხარჯების კოდით ხარჯში არასწორადაა ასახული კანცელარიის სამივლინებო მუხლით, რადგან აღნიშნული ხარჯები მთავრობის „კანცელარიის მივლინების ხარჯებს“ არ წარმოადგენს.

5.2 რეკლამის ხარჯები

2011 წელს „საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ პრემიერ-მინისტრის ბრძანების შესაბამისად², კომპანია „Google“-ის სარეკლამო სერვის - „AdWords“-ისა და სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით ტურიზმსა და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული სამთავრობო ვებ-გვერდის სარეკლამო კამპანიის დასაწყებად, აგრეთვე სხვადასხვა სოციალური ქსელებით საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სხვა სამთავრობო გვერდების ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად საჭირო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით კანცელარიას გამოეყო 26,000 ლარი (ბრძანებით სარეკლამო კამპანიისთვის მაქსიმალური თანხა არ განსაზღვრულა), ხოლო შემდგომ პრემიერ - მინისტრის ბრძანების საფუძველზე³ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 150,000 ლარი. გამოყოფილი თანხის დასაბუთება წარმოდგენილი ვერ იქნა. აუდიტით დადგინდა, რომ 2011 წელს „Facebook“-ის მომსახურებისათვის გადახდილია სულ 109,806 ლარი, (ხოლო 64,335 ლარი დაბრუნებული იქნა ბიუჯეტში, 1,858 ლარი დარჩა „Facebook“-ის მომსახურე ანგარიშვალდებული პირის კორპორატიულ

¹ „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სამუშაო ვიზიტის შესახებ“ საქართველოს პრემიერ მინისტრის 2011 წლის 5 იანვრის N 6 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის N 11 ბრძანება

² 2011 წლის 10 მარტის N66 და 16 ივნისის N215 ბრძანებების (N215 ბრძანებით N66 ბრძანებაში შეტანილი იქნა ცვლილება)

³ 2011 წლის 21 ივნისის N1310 განკარგულების და მასში შეტანილი ცვლილებების (2011 წლის 5 ივლისის N 1370 და 20 ივლისის N1461 განკარგულებები)

ანგარიშზე, ამ თახიდან მომდევნო 2012 წელს ნაწილი 897 ლარი დაიხარჯა იმავე „Facebook“-ის მომსახურებისათვის, ხოლო 961 ლარი დაბრუნდა ბიუჯეტში).

2012 წელსაც „საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ პრემიერ-მინისტრის ბრძანების⁴ შესაბამისად, „კომპანია Google“-ის სარეკლამო სერვის - „AdWords“-ისა და სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით სარეკლამო კამპანიისთვის, აგრეთვე სხვადასხვა სოციალური ქსელებით პრემიერ-მინისტრისა და სხვა სამთავრობო გვერდების ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად საჭირო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით კანცელარიას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 60,000 ლარი. წარმოდგენილი საბანკო ამონაწერების აუდიტით დადგინდა, რომ კანცელარიის მიერ „Facebook“-ის მომსახურებისათვის 2012 წელს გადახდილია 60,884 ლარი.

ასევე, 2014 წელს სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით სარეკლამო მომსახურების ხარჯმა შეადგინა - 15,402 ლარი.

კანცელარიის განმარტებით, სარეკლამო მომსახურებაზე „Facebook“-ის სოციალური ქსელთან ურთიერთობა ხორციელდება მხოლოდ ელექტრონულად მათ მიერვე დადგენილი წესითა და ფორმით, რის გამოც არ ხერხდება არანაირი პირველადი დოკუმენტის მიღება, გარდა მათ მიერ კანცელარიის სადებეტო ბარათიდან ჩამოჭრილი თანხების ჩამონათვალისა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011, 2012 და 2014 წლებში „Facebook“-ის მომსახურება წარმოადგენს არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებას და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე და 166-ე მუხლების მიხედვით ექვემდებარებოდა დღგ-ით უკუდაბეგვრას, რაც არ განხორციელებულა.

5.3 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები (კოდი 282118)

2011 წელს სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯებმა (კოდი 282118) სულ შეადგინა 613,810 ლარი, რომელიც მთლიანად წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე გაცემულ პრემიებსა და ჯილდოებს. მათ შორის პრემიებზე გაცემულია 567,050 ლარი, (აქედან პრემიერ-მინისტრზე, მინისტრებზე და მინისტრის მოადგილეებზე - 516,900 ლარი, სახელმწიფო რწმუნებულებზე-გუბერნატორებზე - 50,150 ლარი), ხოლო ჯილდოებად გაცემულია - 46,760 ლარი. პრემიებად გაცემული თანხების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის ბრძანებებში წარმოდგენილი საფუძვლები არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით⁵ დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების (282118) მუხლით გათვალისწინებულ გაცემის სახეებს, რადგან „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი (282118) გულისხმობს: „...სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებულ ფულად პრემიებს, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა სახის ჯილდოებზე დაწესებულ ფულად პრემიებს...“, ხოლო ზემოაღნიშნული პრემიების გაცემისას სახელმწიფო ჯილდოები, ან შესაბამისი სამართლებრივი აქტით სხვა სახის ჯილდოები არ განსაზღვრულა. 2011 პრემიები გაცემულია შემდეგ თანამდებულების პირებზე:

თანამდებობა

დარიცხული

⁴ N10, 2012 წლის 17 იანვარი, და N224 2012 წლის 27 თებერვალი

⁵ 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“ „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების (282118) მუხლი“-ს განმარტება

პრემიერ-მინისტრი	12,750
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	60,180
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი	53,100
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი	33,276
განათლების და მეცნიერების მინისტრი	35,400
შსს მინისტრი	35,400
სხვა 12 მინისტრზე გაცემულია	232,224
3 მინისტრის მოადგილეზე გაცემულია	39,330
2 სახელმწიფო მინისტრზე გაცემულია	7,080
მმართველობისა და ეკონომიკურ საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის (სამსახურის) უფროსი-პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი	8,160
8 სახელმწიფო რწმუნებულებზე - გუბერნატორებზე გაცემულია	50,150
	567,050

ანალოგიურად, 2012 წელს, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯებმა (კოდი 282118) სულ შეადგინა 125,602 ლარი, რომელიც მთლიანად წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების საფუძველზე გაცემულ პრემიებსა და ჯილდოებს. მათ შორის: პრემიებზე გაცემულია 84,960 ლარი, ხოლო ჯილდოებად - 40,642 ლარი. პრემიებად გაცემული თანხების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის ბრძანებებში წარმოდგენილი საფუძვლები არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენ მიმდინარე ხარჯების (282118) მუხლით გათვალისწინებულ გაცემის სახეებს.

პრემიები გაცემულია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრზე - 74,340 ლარი და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრზე 10,620 ლარი.

5.4 სალაროს და ბანკის ოპერაციები

2011 წელს საბანკო ანგარიშიდან ადგილი ქონდა ფულადი სახსრების განაღდებას მიმდინარე ანგარიშისა და ბანკომატების მეშვეობით, რაც (2012 წლის 8 აგვისტომდე) ეწინააღმდეგებოდა „სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორატიული ბარათების დამზადების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანების⁶ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც: „კორპორატიული ბარათით ანგარიშსწორება დასაშვებია მხოლოდ პოს-ტერმინალებში. კორპორატიული ბარათით ბანკომატიდან, ბანკიდან ან სხვა საშუალებით თანხის განაღდება დაუშვებელია.“⁷ კერძოდ: **2011 წლის 5 აგვისტოს** სს „ბაზისბანკის“ კორპორატიული ანგარიშიდან გამოტანილია 1,635 ლარის ფულადი სახსრები და გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე - პრემიერ მინისტრზე. ასევე, **2011 წლის 5 სექტემბერს,** ანგარიშვალდებულ პირის სახელზე გახსნილი კორპორაციული ანგარიშიდან, პრემიერ-მინისტრის

⁶ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 15 თებერვლის N92 ბრძანება

⁷ აღნიშნული მოთხოვნა გაუქმებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 8 აგვისტოს N324 ბრძანებით.

ლიტვაში მივლინებისას განადღებულია სულ 43,419 ლარი, საიდანაც იმავე წლის 24 სექტემბერს სალაროში დაბრუნებულია გაუხარჯავი თანხა 43,326 ლარი.

ასევე, დარღვეულია სალაროს მეურნეობის წარმოების წესების მარეგულირებელი ინსტრუქცია⁸, რომლის მიხედვითაც დასაბრუნებელი თანხის სახაზინო ანგარიშებზე განთავსება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. კერძოდ, **2012 წლის 7 სექტემბერს** ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული სს „საქართველოს ბანკის“ კორპორატიული საბანკო ანგარიშიდან ანგარიშვალდებული პირის მიერ სალაროში შემოტანილია 6,000 ევროს ექვივალენტი ლარში, რომელიც გაუხარჯავად დაბრუნებულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე იმავე წლის 10 ოქტომბერს.

2012 წლის განმავლობაში ორგანიზაციის მფლობელობაში არსებულ სს „ბაზისბანკის“ კორპორატიულ ანგარიშზე დარიცხულია საპროცენტო შემოსავალი 382.14 ლარის ოდენობით (მათ შორის: I კვარტალში 16.97 ლარი, II კვარტალში 168.94, ხოლო III კვარტალში 196.23 ლარი), რაც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს. ამის მიუხედავად, ფულადი სახსრები არ არის ჩარიცხული ხაზინის ერთიან ანგარიშზე და გახარჯულია დამატებით „სამივლინებო ხარჯებში“. აღნიშნული თანხა ასევე არ არის აღრიცხული ბუღალტრულად და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც „სხვა ეკონომიკური ნაკადები“.

5.5 დებიტორ - კრედიტორები

2011, 2012, 2013, 2014 წლებში მთავრობის კანცელარიის მიერ არ არის ჩატარებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის⁹ მოთხოვნა, რომლის თანახმად - ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია - წელიწადში ორჯერ მაინც“. შედეგად, მთავრობის კანცელარიას ერიცხებოდა წინა წლების შემდეგი დებიტორულ - კრედიტორული დავალიანებები:

დასახელება	წარმოშობის თარიღი	2011	2012	2013	2014
შპს " მ.ბ.ს."	2008	1,298	1,298	1,298	1,298
შპს "ესაბი"	2009	3,382	3,382	3,382	3,382
ბოხუა გიგი	2006	1,722	1,722	1,722	1,722
ქუნინი დენიელი	2006-2009 წწ	4,968	4,968	4,968	4,968
კაკულია დავით	2007	3,499	3,499	3,499	3,499
შპს "უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანია"	2009	(390)	(390)	(390)	(390)
შპს "თელავის მარანი"	2009	(864)	(864)	(864)	(864)

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორული ჯგუფის თხოვნით, მთავრობის კანცელარიამ დებიტორ-კრედიტორი საწარმოებიდან გამოითხოვა დავალიანებების დასტურის წერილები (ხოლო

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3-ე მუხლის მე-11-ე პუნქტი

⁹ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი

ფიზიკური პირების მიმართ აღნიშნული პროცედურები არ ჩატარებულა, რადგან მთავრობის კანცელარიის განმარტებით - ვერ მოხერხდა ორი დებიტორ ფიზიკურ პირის ადგილსამყოფელის დადგენა, ხოლო ერთმა - დავით კაკულიამ შეტყობინებაზე რეაგირება არ მოახდინა). მიღებული დასტურის წერილებიდან გამომდინარეობს, რომ დებიტორები და კრედიტორი არ ადასტურებენ ზემოთ აღნიშნულ დავალიანებებს, კერძოდ: შპს „მბს“-ის წერილის თანახმად, პირიქით, მთავრობის კანცელარიას აქვს დავალიანება მის მიმართ 24,126 ლარის ოდენობით, რომელიც წერილის მიხედვით წარმოშობილია 2009 წლის 16 დეკემბრიდან - მიწოდებული საქონლის შედეგად. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით მიმდინარეობს დავა სასამართლოში¹⁰; შპს „ესაბი“-ს წერილის თანახმად ერთმანეთის მიმართ დავალიანება არ ერიცხებათ; შპს „უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანიის“ წერილის თანახმად მის მიმართ კანცელარიის ვალდებულება შეადგენს არა 390 ლარს - არამედ 461 ლარს. შედეგად, აუდიტმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულობები ნაშთების სიზუსტისა და სისრულის შესახებ.

5.6 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს N46-სს განკარგულება

საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹¹ 2012 წლის 3 სექტემბრს გადარიცხულია 331,400 ლარი (200,000. აშშ დოლარი), რომლის საკასო და ფაქტიური ხარჯის მიზნობრივად გამოყენების დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. (იხილეთ ანგარიშის საიდუმლო ნაწილი).

5.7 სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა (კოდი 49.12)

2012 წელს, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“¹² მოთხოვნების უგულველყოფით, სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების გარდა, შექმნილი იქნა სარეზერვო ფონდის მსგავსი ფონდი (კოდი 49.12), რომლიდანც გასაწევი გადასახდელებიც ბიუჯეტის დაგეგმვისას (პროექტირებისას) განაცხადების ან სხვა რაიმე დოკუმენტის სახით განსაზღვრული არ ყოფილა (მთავრობის კანცელარიის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა და ვერც აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა). აღნიშნული 49.12 კოდიდან ასიგნებების ფორმალურ განმკარგავ საბიუჯეტო ორგანიზაციას წარმოადგენდა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო ფაქტობრივ განმკარგავს წარმოადგენდა მთავრობის კანცელარია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგებაში და არც განმარტებით ბარათში, აღნიშნული კოდით განხორციელებული ხარჯები ასახული არ არის.

ქემოთ მოყვანილია აღნიშნული შეუსაბამოების საფუძვლები, კერძოდ: აუდიტით დადგინდა, რომ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში 49.12 კოდით განისაზღვრა - "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობის" ასიგნებები 10,000 ათასი ლარის ოდენობით, იქვე - კანონის VIII თავში - „მარეგულირებელ ნორმებში“, მუხლით 21 "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა" განისაზღვრა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის 10,000 ათასი ლარი. მისი განკარგვა უნდა განხორციელებულიყო პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. არც

¹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 მარტის განჩინება, საქმე N28/3903-14

¹¹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს N46-სს განკარგულება

¹² „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მუხლი 28. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდები, ნაწილი 2. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილ განმარტებით ბარათში და არც სხვა რაიმე დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები 49.12 კოდით "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის" გასაწევი ხარჯები. აღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულება თუ საიდან გაჩნდა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში“ ხარჯები - კოდით 49.12 "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის“.

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით¹³ 49.12 კოდით - "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა" ასიგნება განისაზღვრა 5,000 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად კანონის VIII თავი „მარეგულირებელ ნორმებში“, 21-ე მუხლითაც "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა" განისაზღვრა „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის 5,000 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად“. არც საქართველოს პარლამენტში წარდგენილ განმარტებით ბარათით და არც სხვა რაიმე დოკუმენტით არ არის განსაზღვრული თუ რატომ შეიცვალა ასიგნების მოცულობა და რა ხარჯები უნდა განხორციელებულიყო "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის". ამავე დროს, პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტს თან ახლავს მიმაგრებული დოკუმენტი „ინფორმაცია 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ღონისძიებების და მათ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ“ (ჩამოტვირთულია საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდიდან), რომლის თანახმად 49.12 კოდით - "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა" ასიგნებების განმკარგავ საბიუჯეტო ორგანიზაციას წარმოადგენს ფინანსთა სამინისტრო.

ფაქტიურად 49.12 კოდის ასიგნებების განმკარგავს წარმოადგენდა მთავრობის კანცელარია, შესაბამისად ხაზინის ინტერნეტ - პროგრამა - "eTresury"-ში 49.12 კოდი ჩართული ჰქონდა მთავრობის კანცელარიას.

49.12 კოდით - "სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა" ასიგნებების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა მთავრობის კანცელარიის მიერ, რომელთა თანახმად, ხარჯვის კოდით - (282118) „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი“, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე 2012 წლის ივნის-ოქტომბრის პერიოდში მხოლოდ ჯილდოებისა და პრემიებისათვის, სულ განხორციელდა **4,292,320** ლარის ხარჯი. ჯილდოები და პრემიები გაცემულია სხვადასხვა სამინისტროების, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ თანამშრომლებზე და სხვა მოქალაქეებზე. ჯილდოდ გაცემულია სულ 2,691,560 ლარი, ხოლო პრემიებად - 1,600,760 ლარი. პრემიებად გაცემული თანხების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის ბრძანებებში წარმოდგენილი საფუძვლები არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების (282118) მუხლით გათვალისწინებულ გაცემის სახეებს, რადგან „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი (282118) გულისხმობს:

¹³ 2012 წლის 22 მაისს N 6241-ლს განხორციელდა ცვლილება „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილება

„...სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებულ ფულად პრემიებს, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა სახის ჯილდოებზე დაწესებულ ფულად პრემიებს...“, ხოლო ზემოაღნიშნული პრემიების გაცემისას სახელმწიფო ჯილდოები, ან შესაბამისი სამართლებრივი აქტით სხვა სახის ჯილდოები არ განსაზღვრულა.

ჯილდოები და პრემიები სამინისტროების თანამშრომლებზე გაცემულია სულ 2,423,096 ლარი; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებზე გაცემულია - 200,000 ლარი; სახელმწიფო რწმუნებულებზე - 23,600 ლარი საქართველოს ადგილობრივი საკრებულოს და გამგეობების და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების და მერიის თანამშრომლებზე - 894,180; სხვა დანარჩენზე - 751,444 ლარი. ჯილდოების და პრემიების საფუძვლები მოყვანილია ცხრილში:

პრემიერ- მინისტრის ბრძანება	საფუძვლები (ბრძანების შინაარსი)	ჯილდო / პრემია	თანხა
N723 06.06.2012	საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და "საქართველოს მთავრობის" 2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-2 პუნქტის შესაბამისად საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მიეცეთ ფულადი ჯილდო დანართის შესაბამისად.	ჯილდო	14,000
N735 14.06.2012	საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და "საქართველოს მთავრობის" 2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-2 პუნქტის შესაბამისად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლებს მიეცეთ ფულადი ჯილდო დანართის შესაბამისად.	ჯილდო	108,010
N882 18.06.2012	საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და "საქართველოს მთავრობის" 2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-2 პუნქტის შესაბამისად საგარეო საქმეთა სამინისტროს სამინისტროს თანამშრომლებს მიეცეთ ფულადი ჯილდო დანართის შესაბამისად.	ჯილდო	26,000
N884 21.06.2012	საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე მიეცეს ფულადი ჯილდო საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ზოგიერთ თანამშრომელს მიეცეს ფულადი ჯილდო დანართის შესაბამისად.	ჯილდო	75,900
N981 03.07.2012	საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-2 პუნქტის შესაბამისად მიეცეთ ფულადი ჯილდო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზოგიერთ თანამშრომელს დანართის შესაბამისად.	ჯილდო	94,000
N1136 25.07.2012	2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით დამტკიცებული, მთავრობის რეგლამენტის მე-4 მუხლის 1 [^] 1 პუნქტის შესაბამისად საქართველოს მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეებსა და გამგებლებს მიეცეთ პრემია თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით.	პრემია	555,280
N1137 25.07.2012	2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით დამტკიცებული, მთავრობის რეგლამენტის მე-4 მუხლის 1 [^] 1 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქების: ბათუმის, ფოთის, ქუთაისისა და რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეებსა, მერებს მიეცეთ პრემია თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით.	პრემია	40,760

პრემიერ- მინისტრის ბრძანება	საფუძვლები (ბრძანების შინაარსი)	ჯილდო / პრემია	თანხა
N1139 25.07.2012	2012 წლის 3 ივლისის ინტოქსიკაციის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის გაწეული დახმარებისათვის სამედიცინო პერსონალის დაჯილდოება 2012 წლის 25 ივლისის N1446 განკარგულების საფუძველზე ამ დანართის მიხედვით.	დაჯილდოება	185,000
N1140 25.07.2012	საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის N1446 განკარგულების საფუძველზე, პროფესიურ მოვალეობათა სანიმუშო და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, გადაეცეთ ფულადი ჯილდო მოქალაქეებს დარჩო ქექურიძესა და იოსებ არჯევანიშვილს.	ჯილდო	5,000
N1141 26.07.2012	2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით დამტკიცებული, მთავრობის რეგლამენტის მე-4 მუხლის 1 [^] 2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული სირთულისა და მნიშვნელობის დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის გადაეცეთ ფულადი ჯილდო შსს- თანამშრომლებს დანართის შესაბამისად.	ჯილდო	23,800
N1142 26.07.2012	2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით დამტკიცებული, მთავრობის რეგლამენტის მე-4 მუხლის 1 [^] 1 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული სირთულისა და მნიშვნელობის დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის მიეცეთ პრემია ამ დანართის შესაბამისად.	პრემია	445,000
N1150 27.07.2012	მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის N1446 განკარგულების საფუძველზე სამსახუროებრივ მოვალეობათა სანომუშო და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისთვის მოქალაქეებს ნიკო ხაბალაშვილს და დავით პაქსაშვილს, გიორგი გოგიაშვილს, ნოდარ მაროიანს გადაეცეთ ფულადი ჯილდო დანართის შესაბამისად.	ჯილდო	2,900
N1220 29.08.2012	საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის N1446 განკარგულების საფუძველზე, პროფესიურ მოვალეობათა სანიმუშო და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, გადაეცეთ ფულადი ჯილდო მოქალაქეებს ნიკო ხიბალაშვილს, გიორგი გოგიაშვილს, დავით პაქსაშვილს და ნოდარ მაროიანს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.	ჯილდო	3,100
N1221 29.08.2013	საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის N1446 განკარგულების საფუძველზე, პროფესიურ მოვალეობათა სანიმუშო და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, გადაეცეთ ფულადი ჯილდო მოქალაქეს მამუკა პატარქალიშვილს (პ/501015008175) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.	ჯილდო	10,000
N1231 31.08.2012	მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის N1446 განკარგულების საფუძველზე მოქალაქეებს- ივანე წიკლაურს, როსმან ჩოხელს და მარიამ ყიფიანს გადაეცეთ 10 000 ლარი.	ჯილდო	30,000
N1232 31.08.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რთული და მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის გადაეცეთ ფულადი ჯილდო თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს ბესიკ ბურდულს და კახა მანგოშვილს- თითოეულს 5000 ლარი.	ჯილდო	10,000
N1233 31.08.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რთული და მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის გადაეცეთ ფულადი ჯილდო შსს-ს თანამშრომლებს ზურაბ ზურაბიშვილს, იოსებ მეტრეველსა და ვახტანგ ზაზაშვილს- თითოეულს 5000 ლარი.	ჯილდო	15,000

პრემიერ- მინისტრის ბრძანება	საფუძვლები (ბრძანების შინაარსი)	ჯილდო / პრემია	თანხა
N1241 06.09.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,რთული და მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის გადაეცეთ ჯილდო შსს-ს თანამშრომლებს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.	ჯილდო	40,400
N1243 07.09.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,რთული და მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის გადაეცეთ ჯილდო შრომის,ჯ/ს,ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების,სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.	ჯილდო	157,520
N1244 07.09.2012	საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის N1446 განკარგულების საფუძველზე,პროფესიურ მოვალეობათა სანიმუშო და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის,ფადაეცეთ ფულადი ჯილდო მოქალაქეებს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.	ჯილდო	16,944
N1246 07.09.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,რთული და მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის გადაეცეთ ჯილდო თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს დარჩო ბეჭურძემს (08001010175),იოსებ არჯევანიშვილს(01001000268),ზაქარია ივანენკოს (20001007148) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.	ჯილდო	3,000
N1252 11.09.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად შსს-ს თანამშრომლებს გადაეცეთ ფულადი ჯილდო-ლევან პაპაშვილს,ლაშა ჩიხლაძეს და დავით ლიბჯანიძეს დანართის შესაბამისად.	ჯილდო	4,500
N1288 21.09.2012	მთავრობის 2012 წლის 25 წლის N1446 განკარგულების საფუძველზე სამსახურეობრივ მოვალეობათა სანომუშო და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისთვის მოქალაქეებს ნიკო ხაბალაშვილს და დავით პაქსაშვილს,გიორგი გოგიაშვილს,ნოდარ მარიონას გადაეცეთ ფულადი ჯილდო დანართის შესაბამისად. (პროფესიულ მოვალეობათა სანიმუშო და კეთილსინდისიერად შესრულება)	ჯილდო	3,500
N1307 03.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს მინისტრებს გადაეცეთ პრემია დანართის შესაბამისად.	პრემია	141,600
N1308 03.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს მინისტრთა,მათ პირველ მოადგილეებსა და მოადგილეებს გადაეცეთ პრემია დანართის შესაბამისად.	პრემია	394,520
N1309 03.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად საქართველოს საკრებულოს თავჯდომარეებსა და გამგებლებს,თვითმართველი ქალაქების საკრებულოების თავჯდომარეებსა და მერებს(ბათუმი,რუსთავი,ფოთი,ქუთაისი) გადაეცეთ ჯილდო თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.	ჯილდო	298,140

პრემიერ- მინისტრის ბრძანება	საფუძვლები (ბრძანების შინაარსი)	ჯილდო / პრემია	თანხა
N1397 08.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად გადაეცეს ჯილდო საქართველოს რგის ზოგიერთ საჯარო მოსამსახურეს ამ ბრძანების დამტკიცებული დანართის შესაბამისად.	ჯილდო	50,000
N1398 08.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად გადაეცეს ჯილდო საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების ზოგიერთ საჯარო მოსამსახურეს ამ ბრძანების დამტკიცებული დანართის შესაბამისად.	ჯილდო	196,000
N1399 08.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად გადაეცეს ჯილდო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ზოგიერთ საჯარო მოსამსახურეს ამ ბრძანების დამტკიცებული დანართის შესაბამისად.	ჯილდო	71,400
N1402 08.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად გადაეცეს ჯილდო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზოგიერთ საჯარო მოსამსახურეს ამ ბრძანების დამტკიცებული დანართის შესაბამისად.	ჯილდო	200,000
N1403 08.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაეცეთ ფულადი ჯილდო საგამოძიებო სამსახურის ზოგიერთ საჯარო მომსამსახურეს დანართის შესაბამისად.	ჯილდო	200,000
N1404 08.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაეცეთ ფულადი ჯილდო სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს დანართის შესაბამისად.	ჯილდო	99,926
N1405 08.10.2013	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რთული და მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის გადაეცეთ ჯილდო შსს-ს თანამშრომლებს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.	ჯილდო	299,400
N1414 10.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაეცეთ ფულადი ჯილდო იუსტიციის სამინისტროს ზოგიერთ საჯარო მომსამსახურეს დანართის შესაბამისად.	ჯილდო	398,121
N1450 12.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულებს დავით კირკიტაძეს გადაეცეთ პრემია თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით.	პრემია	5,900
N1451 12.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულებს სულხან სიბაშვილს გადაეცეთ პრემია თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით. (განსაკუთრებული სირთულისა და მნიშვნელობის დავალების შესრულება)	პრემია	5,900

პრემიერ- მინისტრის ბრძანება	საფუძვლები (ბრძანების შინაარსი)	ჯილდო / პრემია	თანხა
N1453 12.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულებს ლაშა მაქაცარიას გადაეცეთ პრემია თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით.	პრემია	5,900
N1454 12.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულებს ივანე წიკლაურს გადაეცეთ პრემია თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით.	პრემია	5,900
N1455 15.10.2012	მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N313 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რთული და მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის გადაეცეთ ფულადი ჯილდო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის ზოგიერთ თანამშრომლებს გადაეცეთ ფულადი ჯილდო დანართის შესაბამისად.	ჯილდო	49,999
			4,292,320

სულ თანხები გაცემულია 1,859 პირზე, მათ შორის ყველაზე მეტი მიღებული აქვთ:

გადარიცხვის თარიღი	დარიცხული თანხა ლარებში	მიმღების დასახელება	საფუძველი
06/07/2012	9,000	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	პრემია - ივლისი
04/10/2012	7,080		ერთდროული ფულადი ჯილდო პრემიერ- მინისტრის ბრძანება #1307 03.10.2012 წელი
30/08/2012	10,000	კანცელარიის მრჩეველი	ერთდროული ფულადი ჯილდო პრემიერ- მინისტრის ბრძანება #1221 29.08.2012
04/10/2012	7,080	იუსტიციის მინისტრი	ერთდროული ფულადი ჯილდო პრემიერ- მინისტრის ბრძანება #1307 03.10.2012 წელი
04/10/2012	7,080	კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი	ერთდროული ფულადი ჯილდო პრემიერ- მინისტრის ბრძანება #1307 03.10.2012 წელი
04/10/2012	7,080	განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	ერთდროული ფულადი ჯილდო პრემიერ- მინისტრის ბრძანება #1307 03.10.2012 წელი
04/10/2012	7,080	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი	ერთდროული ფულადი ჯილდო პრემიერ- მინისტრის ბრძანება #1307 03.10.2012 წელი

5.8 შესყიდვები

მსუბუქი ავტომობილის შესაძენად 2012 წლის 31 მაისს ჩატარებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120013252) შესასყიდი საქონლის დასახასიათებლად მითითებულია ისეთი პარამეტრები, რაც დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2012 წლის 6 ივლისის (უნომრო) რეკომენდაციით „შესყიდვების ობიექტის აღწერასთან დაკავშირებით“, კერძოდ: „დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ისეთი კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლების მითითება, რომლებიც მთლიანობაში მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდელის საქონლის მახასიათებლებს წარმოადგენს. მაგალითად, ავტომანქანის შესყიდვის შემთხვევაში დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ იქნეს შესასყიდი ავტომანქანის კონკრეტული სიგრძე/სიგანე/სიმაღლე, საბურავებს შორის მანძილი, ცხენის ძალა და ა.შ., რომელთა სრულ კომპლექტაციას აკმაყოფილებს მხოლოდ ერთი მარკის ავტომანქანა“. შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა 29,500 ლარად (საწყისი სატენდერო ღირებულების იდენტური ფასით) მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“. ამ შემთხვევაში ხელოვნურადაა შეზღუდული კონკურენცია და ობიექტმა ვერ უზრუნველყო შესყიდვის ყველა შესაძლო მონაწილის მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.

5.9 ავტომანქანების ჩანაცვლება

2012 წელს არაგონივრული ქმედებების შედეგად, ავტომანქანის შემენის საჭიროების არარსებობის პირობებში, ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ ხარჯვას. კერძოდ, 2012 წელს მთავრობის კანცელარიას ავტომანქანების ჩანაცვლებაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებით გაფორმებული ჰქონდა 3 ხელშეკრულება შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომპანისთან“. ქვემოთ, ცხრილში მოცემულია ხელშეკრულებების პირობები და მათი შესრულება:

ხელშეკრ ულება	კანცელარიის მიერ მიწოდებული ავტომანქანა (ჩანაცვლებით)					ჩანაცვლებით მიღებული ავტომანქანები				დამატებით გადახდილი სხვაობა	
	ა/მ მარკა	გამოშვე ბა	ღირებულება			ა/მ მარკა	გამომ კება	ღირებულება		ღირებულება	
			ნარჩენი	აუდიტის დასკვნით				\$	ლარი	\$	ლარი
				ლარი	\$						
1.N287, 30.08.2012	Lexus LX570	2010	127,863	53,100	87,987	Lexus LX570	2012	102,000	169,014	48,900	81,027
2.N313, 10.09.2012	BMW X6	2008	79,920	50,000	82,746	BMW 730D	2011	77,000	127,504	20,500	33,946
	Mitsubish i Pajero	2010	44,648	15,000	24,838	Subaru Foresster	2002	8,500	14,025		
3.N363, 02.10.2012	Toyota Camry	2008	30,139	5,000	8,297	Toyota Camry	2012	25,900	42,976	17,900	29,701
	Skoda Octavia	2008	16,505	3,000	4,978						

2012 წლის 30 აგვისტოს N287 გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომპანიმ“ მთავრობის კანცელარიას მიაწოდა ერთი ავტომანქანა ლექსუს LX570 - 2012 წლის გამოშვება, ღირებულებით - 102,000 აშშ დოლარი (169,014 ლარი), ხოლო მთავრობის კანცელარიამ კომპანიას გადასცა ასევე ერთი - იგივე კლასის ავტომანქანა 2010 წლის გამოშვება, ლექსუს LX570 - „საბაზრო“ ღირებულებით - 87,987 ლარი. ჩანაცვლებამდე ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 127,863 ლარს, რომელიც აუდიტორული დასკვნის საფუძველზე 27 აგვისტოს ჩამოფასებულია 87,987 ლარამდე. ჩანაცვლებით შეძენილი ავტომანქანა ლექსუს LX570 შეძენიდან ერთ თვეში, კერძოდ 2012 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 2 ოქტომბრის N1306 ბრძანებით, გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. აქედან გამომდინარე კანცელარიისათვის ავტომანქანის შეძენის საჭიროება არ არსებობდა.

2012 წლის 10 სექტემბრის გაფორმებული N313 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომპანიმ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიაწოდა ერთი ავტომანქანა „ბმვ - 730D“, 2011 წლის გამოშვება, ღირებულებით - 77,000 აშშ დოლარი (127,050 ლარი), და ასევე ერთი ავტომანქანა „სუბარუ ფორესტერი“ (2002 წლის გამოშვება) ღირებულებით - 8,500 აშშ დოლარი (14,025 ლარი), ხოლო მთავრობის კანცელარიამ კომპანიას გადასცა ერთი ბმვ X6“ - GPG-989, 2008 წლის გამოშვება, საბაზრო ღირებულებით 50,000 აშშ დოლარი (82,795 ლარი) და ერთი ავტომანქანა „მიცუბიმი პაჯერო“, 2010 წლის გამოშვება, საბაზრო ღირებულებით 15,000 აშშ დოლარი (24,838 ლარი). აღსანიშნავია, რომ ფაქტიურად შეძენილი იქნა მიწოდებულზე გაცილებით ძველი 2002 წლის „სუბარუ ფორესტერი“. ამასთან, ჩანაცვლებამდე მოხდა ხსენებული ავტომანქანების ნარჩენი ღირებულების (124,568.4 ლარი), საბაზრო ფასის დადგენა 2012 წლის 10 სექტემბრის აუდიტორული დასკვნით. ფასთა სხვაობის შესავსებად მთავრობის კანცელარიამ დამატებით გადაიხადა 33,946 ლარი. როგორც წინა შემთხვევაში, ავტომანქანა „ბმვ-730D“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 2 ოქტომბრის N1306 ბრძანებით გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც მანქანების შეძენის საჭიროება არ არსებობდა.

კანცელარიაში განხორციელებული ავტომანქანების მორიგი ჩანაცვლებისას, შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომპანიისთან“ გაფორმებული 2012 წლის 2 ოქტომბრის N363 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ კანცელარიას მიაწოდა ერთი ახალი ავტომანქანა „ტოიოტა კამრი“, ღირებულებით 25,900 აშშ დოლარი (42,976 ლარი), ხოლო კანცელარიამ კომპანიას გადასცა ერთი ერთეული ავტომანქანა „ტოიოტა კამრი“ 2008 წლის გამოშვება, ნარჩენი ღირებულებით 30,139 ლარი და ერთი ერთეული „შკოდა ოქტავია“ 2008 წლის გამოშვება, ნარჩენი ღირებულებით 16,505 ლარი, თუმცა მათი საბაზრო ღირებულებები დადგენილი იქნა 2012 წლის 27 სექტემბრის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე და შეადგენდა: „ტოიოტა კამრი“ – 5,000 აშშ დოლარს (8,297 ლარს), და „შკოდა ოქტავია“ – 3,000 აშშ დოლარს (4,978 ლარს). შედეგად, კანცელარიამ ფასთა სხვაობის შესავსებად კომპანიას დამატებით გადაურიცხა თანხა 29,701 ლარის ოდენობით. აუდიტის ჯგუფის თხოვნით მთავრობის კანცელარიის მიერ აღნიშნული კომპანიიდან გამოთხოვილი იქნა ჩანაცვლებული ავტომანქანების რეალიზაციის დოკუმენტები. დადგინდა, რომ მთავრობის კანცელარიიდან გაცემული და მანამდე 11,527 ლარით ჩამოფასებული ავტომანქანა „შკოდა ოქტავია“ სახ. ნომრით - LEV-554, მეორე დღესვე 5,812.45 ლარად შეძენილი იქნა მთავრობის კანცელარიის იმ თანამშრომლის მიერ, რომელსაც ჩანაცვლებამდე სამსახურეობრივ სარგებლობაში ჰქონდა აღნიშნული ავტომანქანა.

ამრიგად, მთავრობის კანცელარიაში ავტომანქანების ჩანაცვლების გზით წარმოებული შესყიდვებისას განხორციელებული ფასთა ასეთი თანაფარდობებით „ჩანაცვლება“ ფაქტობრივად წარმოადგენდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზნის - სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის უგულველყოფას. თუ

რამდენად ადექვატურია აღნიშნული ჩანაცვლებითი ოპერაციები და ჰქონდა თუ არა ადგილი მთავრობის კანცელარიის თანამშრომლების მიერ პირადი სარგებლის მიღებას - შემდგომი კვლევის საგანია.

5.10 საწვავის ხარჯები

აუდიტით დადგინდა, რომ 2012 წლის ივლის-ოქტომბერში ადგილი ჰქონდა საწვავის ხარჯვას იმ მოცულობით, რომელიც სცილდება ყოველგვარი ნორმებისა და გონივრულობის ფარგლებს და წარმოადგენს საბიუჯეტო თანხების არაეფექტურ და არამიზნობრივ ხარჯვას. აღნიშნული შეუსაბამოების საფუძვლები მოყვანილია ქვემოთ.

2012 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდში ტრანსპორტის შენახვა-ექსპლოატაციის ხარჯებმა შეადგინა სულ 148,380 ლარი, მათ შორის საწვავმა 127,206 ლარი (58,396 ლიტრი), ხოლო 2012 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში - 566,446 ლარი, მათ შორის საწვავმა - 434,031 ლარი (202,618 ლიტრი), აქედან ივლის-ოქტომბერში - ხარჯმა შეადგინა სულ 546,296 ლარი, მათ შორის საწვავმა - 421,269 ლარი (196,648 ლიტრი). ქვემოთ ცხრილში მოცემულია საწვავის ლიმიტები და ხარჯები:

თვე	ა/მანქანების რაოდენობა	ლიმიტი		რეზერვი		ფაქტიური ხარჯი	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
ივლისამდე ყოველთვიური	22	16,150	-	4,000	-	16,150	-
ივლისი	45	30,000	7,000	15,000	4,000	33,240	3,360
აგვისტო	56	32,000	3,000	60,000	13,000	80,114	11,540
სექტემბერი	67	32,000	3,000	60,000	13,000	43,620	7,890
ოქტომბერი	67	34,200	3,600	60,000	13,000	10,686	730
ნოემბერი	4	1,800	1,000	-	-	1,853	1,450

2012 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდში საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საწვავის გაცემა ხორციელდებოდა თანამშრომლებზე მიმდრეკილი ავტომანქანების მიხედვით „საქართველოს მთავრობის კანცელარიის კუთვნილი ავტომობილების ექსპლუატაციისა და რაციონალურად გამოყენების შესახებ“ მთავრობის კანცელარიის უფროსის 2006 წლის 29 ნოემბრის N88 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 3 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე. მთავრობის კანცელარიის სტრუქტურის შესაბამისად მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა განსაზღვრული იყო 22 ერთეულით. ამავე ბრძანებითვე განისაზღვრა საწვავის ყოველთვიური ნორმებიც (ლიმიტები) თითოეული ავტომანქანისათვის - კლასის, თანამდებობისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. ყოველთვიური ლიმიტი დადგენილი იქნა 16,150 ლიტრი ბენზინი, აგრეთვე, სარეზერვოდ განსაზღვრული იყო - 4,000 ლიტრი ბენზინი.

2012 წლის ივლის - ოქტომბრის პერიოდში ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილების რაოდენობებისა და მათთვის საჭირო საწვავზე ყოველთვიური ლიმიტების დადგენა ხდებოდა „საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 17 ივლისის N153 ბრძანებით (რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოაღნიშნული

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2006 წლის 29 ნოემბრის N88 ბრძანება) და მასში ცვლილებების შეტანისა და ცალკეული ბრძანებების გამოცემის გზით. აღნიშნული 2012 წლის 17 ივლისის N153 ბრძანებით დადგენილ იქნა ყოველთვიური ლიმიტი (პრემიერ-მინისტრის გარდა) სულ 25,000 ლიტრი ბენზინის და 3,000 ლიტრი დიზელის ოდენობით, ხოლო სარეზერვოდ განისაზღვრა - 5,000 ლიტრი ბენზინი და 1,000 ლიტრი დიზელი, აგრეთვე განისაზღვრა სამივლინებო ფონდი (ლიმიტი) 10,000 ლიტრი ბენზინის და 3,000 ლიტრი დიზელის ოდენობით. ამას გარდა კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 18 ივლისის N161 ბრძანებით პრემიერ-მინისტრისთვის დადგინდა ბენზინის ყოველთვიური ლიმიტი 5,000 ლიტრის ოდენობით.

2012 წლის 20 ივლისის N167 ბრძანებით ცვლილებები იქნა შეტანილი „საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 17 ივლისის N153 ბრძანებაში, რომლის თანახმად - მოსამსახურეებზე გაცემული საწვავის (მათ შორის, ყოველთვიურ ლიმიტს ზევით) ჩამოწერა და ფაქტიურ ხარჯში ასახვა უნდა განხორციელებულიყო გაცემის უწყისების საფუძველზე.

შემდგომ 2012 წლის 17 ივლისის N153 ბრძანებაში, 3 თვის განმავლობაში შეტანილი იქნა ან გამოიცა 14 ცვლილება და ახალი ბრძანება, რომელიც ძირითადად ეხებოდა საწვავის ლიმიტის შეცვლას, ძირითადად - ზრდას. დაწესებული ლიმიტების გაზრდის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ დასაბუთებული განმარტებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

2012 წლის ივლისიდან მნიშვნელოვნად გაზრდილია ყოველთვიური ლიმიტები და მომსახურე ავტომანქანების რაოდენობა. შესაბამისი საწვავის ხარჯვის მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ:

- პრემიერ-მინისტრზე გამოყოფილი იყო 3 პერსონალური და 12 დაცვის ავტომანქანა, რომლებზეც საწვავის ხარჯვის ნორმად თვეში დაწესებული იყო 5,000 ლიტრი საწვავი, ივლისში გაცემულია: 3 პერსონალურ მანქანაზე 5,000 ლიტრი ბენზინი, ხოლო დაცვის 12 ავტომანქანაზე 7,000 ლიტრი ბენზინის და 980 ლიტრი დიზელის საწვავი. შემდგომ თვეებში 3 პერსონალურ მანქანაზე საწვავის გაცემა დაფიქსირებული არ არის, ხოლო დაცვის 12 მანქანაზე გაცემულია ოქტომბერში 3,519 ლიტრი ბენზინი;
- რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსზე გაცემულია: ივლისში- ბენზინი 3,500 ლიტრი, დიზელი 1,000 ლიტრი; აგვისტოში- ბენზინი 2,780 ლიტრი, დიზელი 1,000 ლიტრი; სექტემბერში- ბენზინი- 2,000 ლიტრი, დიზელი-1,000 ლიტრი; ოქტომბერში- ბენზინი 3,500 ლიტრი, დიზელი- 1,000 ლიტრი.
- რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეზე გაცემულია: ივლისში- ბენზინი 500 ლიტრი, დიზელი 1,000 ლიტრი; აგვისტოში- ბენზინი 500 ლიტრი, დიზელი 1,000 ლიტრი; სექტემბერში- ბენზინი-1,000 ლიტრი, დიზელი-2,000 ლიტრი; ოქტომბერში- ბენზინი 500 ლიტრი, დიზელი- 1,000 ლიტრი.
- რეგიონალური მართვის დეპარტამენტის თანამშრომელზე გაცემულია ბენზინი: ივლისში- 500 ლიტრი, აგვისტოში- 350 ლიტრი, სექტემბერში- 520 ლიტრი, ოქტომბერში- 730 ლიტრი.
- რეგიონალური მართვის დეპარტამენტის თანამშრომელზე გაცემულია ბენზინი: აგვისტოში- 400 ლიტრი, სექტემბერში- 600 ლიტრი, ოქტომბერში- 600 ლიტრი.
- რეგიონალური მართვის დეპარტამენტის თანამშრომელზე გაცემულია ბენზინი: აგვისტოში- 320 ლიტრი, სექტემბერში- 200 ლიტრი, ოქტომბერში- 450 ლიტრი.

- აპარატის თანამშრომელზე გაცემულია ბენზინი: აგვისტოში- 160 ლიტრი, სექტემბერში- 500 ლიტრი, ოქტომბერში- 160 ლიტრი.
- პრეს სამსახურის თანამშრომელზე გაცემულია: ივლისში- ბენზინი 2,500 ლიტრი; აგვისტოში- ბენზინი 2,220 ლიტრი, სექტემბერში- ბენზინი 1,700 ლიტრი, დიზელი 200 ლიტრი, ოქტომბერში- ბენზინი 1,550 ლიტრი.
- პრეს სამსახურის თანამშრომელზე გაცემულია: ივლისში- ბენზინი 350 ლიტრი; აგვისტოში- ბენზინი 80 ლიტრი, სექტემბერში- ბენზინი 400 ლიტრი, დიზელი 1,000 ლიტრი, ოქტომბერში- ბენზინი 100 ლიტრი, დიზელი 600 ლიტრი.
- პროტოკოლის სამსახურის თანამშრომელზე გაცემულია: აგვისტოში- ბენზინი 140 ლიტრი, სექტემბერში- ბენზინი 450 ლიტრი, ოქტომბერში- ბენზინი 450 ლიტრი.
- პროტოკოლის სამსახურის თანამშრომელზე გაცემულია: აგვისტოში- ბენზინი 430 ლიტრი, სექტემბერში- ბენზინი 500 ლიტრი, ოქტომბერში- ბენზინი 450 ლიტრი.
- პროტოკოლის სამსახურის თანამშრომელზე გაცემულია: აგვისტოში- ბენზინი 610 ლიტრი, სექტემბერში- ბენზინი 500 ლიტრი, ოქტომბერში- ბენზინი 450 ლიტრი.
- საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსზე გაცემულია: ივლისში- ბენზინი 3,000 ლიტრი, აგვისტოში- ბენზინი 1,000 ლიტრი.
- საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილეზე გაცემულია ბენზინი: ივლისში - 400 ლიტრი, აგვისტოში - 400 ლიტრი, სექტემბერში - 400 ლიტრი, ოქტომბერში - 300 ლიტრი.
- საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომელზე გაცემულია ბენზინი: ივლისში - 300 ლიტრი, აგვისტოში - 300 ლიტრი, სექტემბერში - 400 ლიტრი, ოქტომბერში - 300 ლიტრი.

მომსახურე ავტომანქანების რაოდენობებისა და მათზე დაწესებული ლიმიტების გაზრდის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ დამამტკიცებელი მასალები ან განმარტებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

წარმოდგენილი მასალების თანახმად, საქართველოს მთავრობის კანცელარიის მაღალი თანამდებობის პირებზე დიდია მათ დაქვემდებარებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის ხარჯები. ხშირ შემთხვევებში ავტომანქანებზე გაცემულად დაფიქსირებული საწვავის კილომეტრაჟებში გადაყვანით გამომდინარეობს, რომ კანცელარიის კუთვნილი ავტომანქანები თითქმის სულ მოძრაობაში იყო და საშუალოდ დღიურად (შაბათ - კვირისა და უქმე დღეების ჩათვლით) გადიოდნენ 250-დან 350 კმ-მდე მანძილს.

გარდა აღნიშნულისა, მთავრობის კანცელარიაში საწვავის გაცემა ხდებოდა ისეთ პირებზეც, რომლებზეც ავტომობილები პერსონალური და სამსახურეობრივი სარგებლობისათვის არ იყო გამოყოფილი. სულ, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში 2012 წლის ივლის-ოქტომბრის თვეებში, ამ პირებზე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაწერილია 5,630 ლიტრის ბენზინი, რაც არამიზნობრივ ხარჯს წარმოადგენს.

„საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 17 ივლისის N153 ბრძანების შესაბამისად, ამავე ბრძანების მე-5 პუნქტით ლიმიტს ზემოთ საწვავის გაცემა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ

სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოტივირებული განცხადების საფუძველზე. ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად კი სარეზერვო და სამივლინებო ფონდის მიმდინარე თვეში აუთოვისებლობის შემთხვევაში მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ეკონომიკური სამსახურის მიერ შესაბამისი ოდენობით უნდა შემცირებულიყო მომდევნო თვის ლიმიტის უზრუნველსაყოფად გასაცემი საწვავის ლიმიტი. ლიმიტის ზევით ხარჯებს ადგილი ჰქონდა ყოველთვის, თუმცა შემდგომ თვეში ლიმიტის შემცირება არც ერთხელ არ განხორციელებულა.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია საწვავის გასავლის უწყისები, სადაც საწვავის მიმღები თანამშრომლები ხელის მოწერით ადასტურებენ საწვავის მიღების ფაქტს, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება სად და კონკრეტულად რაში გამოიყენა თანამშრომელმა მიღებული საწვავი. აღნიშნული დოკუმენტების შემოწმებით, ვერც აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა საკმარისი მტკიცებულებები იმის დასადგენად, რომ ხარჯებში ჩამოწერილი საწვავი მიზნობრივად არის გამოყენებული.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ საწვავის ხარჯვის ლიმიტები, ლიმიტის ფარგლებში და ლიმიტს ზემოთ საწვავის გაცემა და გაცემის უწყისებით ხარჯად აღიარებული საწვავის მოცულობები დაუსაბუთებელი იყო. შედეგად 2012 წლის ივლის-ოქტომბერში საწვავის გაცემის უწყისებით, ბუღალტრულ აღრიცხვაში ხარჯად აღიარებულია 369,694 ლარის ღირებულების 171,967 ლიტრი ბენზინი და 51,574 ლარის ღირებულების 24,680 ლიტრი დიზელი, მათ შორის არის „ნოემბრის ლიმიტიდან“ 30 ოქტომბერს წინასწარ გაცემული და ჩამოწერილი 4,300 ლიტრი ბენზინი და 300 ლიტრი დიზელი, თანხით 8,334 ლარი და 618 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნოემბრის ლიმიტი დადგენილი იქნა 2012 წლის 8 ნოემბერს N7 ბრძანებით: ბენზინი -1800 ლიტრი, დიზელი 1000 ლიტრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2012 წლის ივლის-ოქტომბერში საწვავი გაცემულია და ხარჯებში ჩამოწერილია დაუსაბუთებლად. მისი მიზნობრივად გამოყენება კი შემდგომი შესწავლის საგანს წარმოადგენს.

5.11 ძირითადი აქტივები

2012 წლის 31 დეკემბრისათვის კანცელარიის ფინანსურ ანგარიშგებაში და ბუღალტრულ აღრიცხვაში ათონელის ქ. N25-ში მდებარე უძრავ ნივთის - შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართი, არც საჯარო რეესტრში დარეგისტრირებამდე და არც საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგაც, ფინანსურ დოკუმენტებში აღრიცხული არ ყოფილა.

კერძოდ: -2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არ არის ასახული საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 19 ოქტომბერს N121-ს წერილის და სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს 2012 წლის 19 ოქტომბერს N1-ს ბრძანებით, საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის სარგებლობის უფლებით უვადოდ და უსასყიდლოდ გადაცემული ათონელის ქ. N25-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი. უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის კანცელარიისადმი გამოგზავნილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 11 ივლისის N135-ს წერილიდან გამომდინარე, სამინისტროს ქ. თბილისში ათონელის ქ. N25-ში არსებული უძრავი ქონების საბალანსო და ნარჩენი ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებოდა, ხოლო მთავრობის კანცელარიას ქონების შეფასება და ბალანსზე აყვანა არ განუხორციელებია. მხოლოდ, 2012 წლის 24 ოქტომბერს განხორციელდა ათონელის N25-ში მდებარე უძრავ ნივთზე საქართველოს მთავრობის კანცელარიის

სარგებლობის უფლების რეგისტრაცია¹⁴. კანცელარიის განმარტებით - 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ აღნიშნული შენობა აღარ განიხილებოდა, როგორც პრემიერ-მინისტრის სამომავლო რეზიდენცია, დაიწყო პროცედურები მის გადასაცემად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის. ამდენად, კანცელარიის მიერ არ ჩაითვალა მიზანშეწონილად შეფასებულიყო ქონების ღირებულება.

ასევე, 2014 წლის 31 დეკემბრისთვის, მთავრობის კანცელარიის ფინანსური ანგარიშგება არასრულად ასახავს გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს, კერძოდ: 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არ არის ასახული საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 3 თებერვლის N03-ს წერილისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 22 იანვრის N1/17-ს და 24 იანვრის N1/22-ს წერილების შესაბამისად 2014 წლის 11 თებერვალს საჯარო რეესტრში სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებული ქ.თბილისში გიორგი ლეონიძის ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები და ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებული ქ.თბილისში, სულხან-საბას ქ. / გიორგი ლეონიძის ქ. 1/5-ში თანასაკუთრებაში არასასოფლ სამეურნეო 1056 კვ.მ ფართზე მდებარე შენობა ნაგებობები. აგრეთვე მთავრობის ადმინისტრაციის (კანცელარიის) ბრძანებების საფუძველზე აღნიშნული ქონების ნაწილის სხვა ორგანიზაციებზე გადაცემული ქონებები, კერძოდ:

- 2014 წლის 12 თებერვლის N01-ს ბრძანებით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2015 წლის 11 თებერვლამდე უსასყიდლოდ გადაეცა კანცელარიის სარგებლობაში არსებული გიორგი ლეონიძის ქ. N3-ში განთავსებულ N1 შენობაში პირველ სართულზე 160.61 კვ.მ, ასევე, სულხან-საბა ქ. N1/ გიორგი ლეონიძის ქ. N5 შენობაში არსებული ფართი 604.62 კვ.მ.;
- 2014 წლის 12 თებერვლის N02-ს ბრძანებით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ - 2015 წლის 11 თებერვლამდე, გადაეცა კანცელარიის სარგებლობაში არსებული გიორგი ლეონიძის ქ. N3-ში განთავსებულ N1 შენობაში მე-2 სართულზე 54,1 კვ.მ და N2 შენობაში პირველ, მე-3, მე-4, მე-5 სართულებზე 579.27 კვ.მ.;
- 2014 წლის 17 თებერვლის N03-ს და 20 მაისის N05-ს ბრძანებით სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ - 2015 წლის 11 თებერვლამდე, გადაეცა კანცელარიის სარგებლობაში არსებული გიორგი ლეონიძის ქ. N3-ში განთავსებულ N3 შენობაში პირველ სართულზე ერთი ოთახი - 12.77 კვ.მ, მე-2 სართულზე 6 ოთახი - 182.56 კვ.მ.. N3 შენობაში პირველ სართულზე N8 ოთახი - 59.80 კვ.მ და #9 ოთახი - 13.67 კვ.მ..

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის კანცელარიას აღნიშნული ქონების შეფასება და ბალანსზე აყვანა არ განუხორციელებია.¹⁵ ზემოხსენებული ქონება და ქონების ნაწილის სხვა ორგანიზაციებზე გადაცემა - ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამაში ასახულია ნატურალურ ერთეულებში - ღირებულების გარეშე. რაც არ შეესაბამება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 პუნქტის¹⁶

¹⁴ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N01/78-ს წერილი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

¹⁵ მთავრობის ადმინისტრაციის (კანცელარიის) 2014 წლის 30 ივნისის N195-ს წერილზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 ივლისის პასუხიდან გამომდინარე, სააგენტოს - ქონების საბალანსო ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-5 მუხლის „სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის“ მე-2 პუნქტი „ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს

მოთხოვნებს. კანცელარიის განმარტებით, სულხან საბას ქუჩაზე/ლეონიძის ქუჩაზე N 1/5 არსებული შენობა-ნაგებობები მხოლოდ დროებით, რამდენიმე თვით იყო გადაცემული ექსპლოატაციამ. ქონების მართვის სააგენტოში კანცელარიის მიერ 2014 წლის 30 ივნისს გაიგზავნა N195-ს წერილი ქონების ღირებულებითი მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. საპასუხო წერილით (N1/151-ს 15.07.14) აღმოჩნდა, რომ სააგენტოს არ მოეპოვებოდა ინფორმაცია ზემოხსენებული უძრავი ქონების საბალანსო ღირებულების შესახებ. რადგანაც აღნიშნული შენობა დროებით სარგებლობით იყო კანცელარიის ბალანსზე, კანცელარიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯის გაწევა და ღირებულების დასადგენად ექსპერტიზის ჩატარება. შესაბამისად, აღნიშნული შენობა-ნაგებობები აღრიცხული იქნა მხოლოდ რაოდენობით ერთეულებში.

ცვეთის დარიცხვა

2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არაფინანსური ძირითადი აქტივები ასახულია 42,009 ლარით გაზრდილი (გამორჩენილია ცვეთის დარიცხვა 241 ერთეულ ძირითად აქტივზე), ხოლო, ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შედგენილ ფორმა 2-ში პირიქით, ხარჯებში - ძირითადი კაპიტალის მოხმარება შემცირებულია იმავე თანხით. რაც არ შეესაბამება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N436 ბრძანების მოთხოვნებს.

5.12 ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე საქართველოს პრემიერ - მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები.

მთავრობის კანცელარიის არაგონივრული და არაეფექტური მუშაობის შედეგად ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებების შედეგად, დაგეგმილ ვადაში ვერ დასრულდა სამშენებლო სამუშაოები. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრისათვის კანცელარიის ბალანსზე დასრულებული შენობის ნაცვლად ირიცხებოდა: 13,463,597 ლარის ღირებულების დებიტორული დავალიანება შპს „არტესის“ მიმართ და 3,108,478 ლარის დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი (მათ შორის: შპს „არქიტექტორები.ჯი.2“- მიერ N1-ს ხელშეკრულებით შესრულებული 452,672 ლარის საპროექტო სამუშაოები; შპს „არტესის“ მიერ N2-ს ხელშეკრულებით შესრულებული 2,640,805 ლარის - დემონტაჟის სამუშაოები და შპს „მშენიანების“ მიერ N4 ხელშეკრულებით შესრულებული 15,000 ლარის ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოები).

ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ საპროექტო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებთან და მათ შესყიდვებთან

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს“ და მე-6 პუნქტი „პირველად დოკუმენტებში აღინიშნება შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, ზომის ერთეული (თუ გააჩნია გაზომვის ფიზიკური ერთეული, რომელთანაც შესაძლებელია ფასების დაკავშირება), რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტების სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან“.

დაკავშირებული საქართველოს მთავრობის 2011 წლის NN29-ს, 45-ს და 2012 წლის NN09-ს, 34-ს, 38-ს, 52-ს და 53-ს განკარგულებები, ასევე ამ განკარგულებებიდან გამომდინარე ხელშეკრულებები, შეთანხმებები და სხვა კორესპონდენცია იყო საიდუმლო, რომელიც განსაიდუმლდა „საქართველოს მთავრობის ზოგიერთი განკარგულებისა და მათგან გამომდინარე დოკუმენტაციის განსაიდუმლოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N01-ს განკარგულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის კანცელარიასადმი გაგზავნილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის 2013 წლის 11 მარტის N1828/15-04 წერილით დგინდება, რომ გამოძიების ფარგლებში ამოღებულია შპს „არტესის“ სრული საბუღალტრო და სააღრიცხვო დოკუმენტაცია, აგრეთვე ირკვევა, რომ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მხოლოდ ნაწილი და გაურკვეველია შპს „არტესისათვის“ ავანსად გადახდილი 16,104,402 ლარიდან თანხის გარკვეული ნაწილის ხარჯვის მიზნობრიობა. ასევე, წერილში აღნიშნულია, რომ ექვს იწვევდა ქვეკონტრაქტორებისათვის გადახდილი თანხების რეალობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგამოძიებო დეპარტამენტმა, მთავრობის კანცელარიისგან, დამატებით გაითხოვა ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში მდებარე საქართველოს მთავრობის კანცელარიის შენობის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია. აღნიშნული მასალები საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 15 მარტს N9472 წერილით (დანართით 543 ფურცლად) გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში.

ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებებთან დაკავშირებით გაფორმებულია 3 ხელშეკრულება:

- 2011 წლის 20 დეკემბერს N1-ს ხელშეკრულება „მშენებლობის საპროექტო (არქიტექტურული, საკონსტრუქციო, საინჟინრო) დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით“ - შპს „არქიტექტორები.ჯი.2“-თან;
- 2012 წლის 15 თებერვალს N2-ს ხელშეკრულება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით“ - შპს „არტეს“-თან;
- 2012 წლის 9 ივლისს N4-ს ხელშეკრულება „სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით“ - შპს „მშენიანსერვისთან“.

ხელშეკრულება N1-ს: შპს „არქიტექტორები.ჯი.2“-თან გაფორმებული 2011 წლის 20 დეკემბერს N1-ს ხელშეკრულება „მშენებლობის საპროექტო (არქიტექტურული, საკონსტრუქციო, საინჟინრო) დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით“ - შესრულდა დაგვიანებით - კერძოდ, 2012 წლის მარტის ნაცვლად დასრულდა 2012 წლის 31 ივლისს, რისთვისაც შემსრულებელმა გადაიხადა საურავი 27,525 ლარის ოდენობით, იხილეთ ცხრილი:

მთავრობის განკარგულება	ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება	შესრულებული სამუშაოს ფაქტიური ღირებულება	ხელშეკრულები თ დამთავრების თარიღი	ფაქტიურად დამთავრების თარიღი	გადახდილი საურავის თანხა 0.05% ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე
N45-ს, 01.09.2011	N1-ს, 20.12.2011	\$ 269,576 (452,672 ლარი)	452,672	30.03.2012	31.07.2012	27,525

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 სექტემბრის N45-ს განკარგულებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისის მშენებლობის საპროექტო (არქიტექტურული, საკონსტრუქციო, საინჟინრო) დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის 336,970 აშშ დოლარის გამოყოფა. ფაქტიურად 2011 წელს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოყოფილი იქნა 452,674 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის N29-ს განკარგულებით, ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური, გეოდეზიური კვლევების, აგრეთვე საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და ამ სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები, საქართველოს მთავრობის კანცელარიას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, უნდა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - ამ კანონით დადგენილი წესები არ ვრცელდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებზე. აქედან გამომდინარე მთავრობის კანცელარიამ თვითონ გაავრცელა კანონის მოქმედება შესაბამისი განკარგულებით და გაფორმებული ხელშეკრულებით. შესაბამისად, დაცული უნდა ყოფილიყო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

2011 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ შპს „არქიტექტორები.ჯი2“-თან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გაფორმებულია ხელშეკრულება N1-ს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისის მშენებლობის არქიტექტურული, კონსტრუირებისა და საინჟინრო დოკუმენტაციის მომზადებისა და არქიტექტურული ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, რომლის ღირებულება შეადგენდა 269,576 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, რამაც ფაქტიურად შეადგინა თანხა 452,672 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „არქიტექტორები.ჯი2“ წარმოადგენდა ახლად შექმნილ საწარმოს, რომლის რეგისტრაციაც დაჩქარებული წესით განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმებამდე 4 დღით ადრე, 2011 წლის 16 დეკემბერს. ასევე, ყველა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (წესდება, კრების ოქმი და სანოტარო აქტი) მომზადებულია 16 დეკემბრის თარიღით. კანცელარიის უფროსის 2011 წლის 19 დეკემბრის N 34-ს მოხსენებითი ბარათის თანახმად შემსრულებლად ახლად შექმნილი შპს „არქიტექტორები.ჯი2“ შეირჩა თბილისის ვიცე-მერის რეკომენდაციით.

როგორც ზემოთ აღინიშნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა 4 თვის დაგვიანებით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი უნდა განეხორციელებინა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის ბრძანებით შექმნილ კონტროლის ჯგუფს. ვერ იქნა წარმოდგენილი კონტროლის ჯგუფის შექმნისა და მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ხელშეკრულება N2-ს: კანცელარიის უფროსის 2012 წლის 13 თებერვლის დეკემბრის N09-ს მოხსენებითი ბარათის თანახმად სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლად თბილისის ვიცე-მერთან კონსულტაციების შედეგად შეირჩა შპს „არტესი“.

ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებებისთვის 2012 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა - 16,104,402 ლარის ოდენობით დახარჯულია არაგონივრულად და არაეფექტურად. შედეგად, აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები ვერ დასრულდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში - 2012 წლის 31 დეკემბრისთვის.

ცხრილში მოცემულია, ხელშეკრულების ძირითადი პირობები და შესრულების მაჩვენებლები:

მთავრობის განკარგულება	ხელშეკრულება და ცვლილებები	დასრულების ვადა ხელშეკრულების მიხედვით	ხელშეკრულებითა და ცვლილებებით საავანსო გადარიცხვების მოცულობა	ხელშ. საბანკო გარანტია	ფაქტიურად გადარიცხული ავანსი		შესრულებული სამუშაოებისათვის გადარიცხული თანხა		ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები (დემონტაჟი)	
					თარიღი	თანხა	თარიღი	თანხა	თარიღი	თანხა
A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K
N09-ს 14.02.12	N2-ს , 15.02.12	01.09.12	1,700,000	100% გარანტ.	27.02.12	1,000,000	25.07.12	430,000	19.07.12	858,523
					20.04.12	700,000	16.08.12	280,065	13.08.12	561,607
N34-ს 30.05.12	ცვლილება N2-ს/1, 30.05.12		3,580,000	გარანტ. გარეშე	31.05.12	3,580,000	24.09.12	610,337	20.09.12	1,220,675
N38-ს 5.06.12	ცვლილება N2-ს/2, 05.07.12		5,280,000	გარანტ. გარეშე	10.07.12	5,280,000				
განკარგულების გარეშე	ცვლილება N2-ს/3, 01.09.12	31.12.12	5,280,000	გარანტ. გარეშე	24.09.12	4,224,000				
ჯამი			15,840,000			14,784,000		1,320,403		2,640,805

შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „არტესის“ მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება შეადგენდა 13,463,597 ლარს (გამოიანგარიშება შესაბამისი სვეტების მიხედვით: (G+I-K))

ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებასა და შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) მშენებლობის არქიტექტურული, კონსტრუირებისა და საინჟინრო დოკუმენტაციის მომზადებისა და არქიტექტურული ზედამხედველობის სამუშაოები დაწყებულია ისე, რომ ადგილი, სადაც უნდა განთავსებულიყო - ქ. თბილისში ათონელის ქ. N25-ი მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი მის სარგებლობაში არ იყო დარეგისტრირებული. აგრეთვე, არც აღნიშნული ქონების ღირებულების შესახებ გააჩნდათ ინფორმაცია¹⁷;

¹⁷ საქართველოს მთავრობის კანცელარია 2012 წლის 10 თებერვალს N6-ს წერილი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2012 წლის 13 თებერვლის N31-ს და N32-ს წერილები; თებერვლის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 29 N52-ს წერილი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 9 მარტის N57 (საიდუმლო) წერილი; საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2012 წლის 25 ივნისის N62-ს წერილი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2012 წლის 11 ივლისის N135-ს წერილი.

- ხელშეკრულება გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - ამ კანონით დადგენილი წესები არ ვრცელდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებზე. აქედან გამომდინარე მთავრობის კანცელარიამ თვითონ გაავრცელა კანონის მოქმედება შესაბამისი განკარგულებით და გაფორმებული ხელშეკრულებით. შესაბამისად, დაცული უნდა ყოფილიყო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. უგულებელყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნა, რადგანაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მოტივით ზემოხსენებული სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების შემთხვევაში არ არსებობდა ვითარება, რომელიც არც რეალურ საფრთხეს უქმნიდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ან რომელსაც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებისათვის და არც სამშენებლო სამუშაოების ვადები იყო შეზღუდული, რამეთუ ხელშეკრულების შესრულების ვადა თავიდანვე გათვალისწინებული იყო ექვს თვეზე, რომელიც შემდგომში ხელშეკრულების სხვა პირობებთან ერთად შეცვლილი და გადავადებული იქნა კიდევ ოთხი თვით - 2012 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე;
- ხელშეკრულების გაფორმებისას 2012 წლის 15 თებერვლისათვის არ არსებობდა საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც მხოლოდ 2012 წლის 31 ივლისისათვის იქნა მომზადებული. შესაბამისად ხელშეკრულების დანართები: დანართი N1 არქიტექტორული, კონსტრუირებისა და საინჟინრო დოკუმენტაცია; დანართი N2 გეგმა-გრაფიკის (რომელიც წარმოდგენილი ვერ იქნა) და დანართი N3 ხარჯთაღრიცხვა (რომელიც წარმოდგენილი იქნა წინასწარი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის სახით) სიზუსტეს და სისრულეს მოკლებულია;
- ხელშეკრულების N3 დანართად წარმოდგენილ წინასწარ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაში შეყვანილია ექსპერტიზის ხარჯები, რაზეც ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი;
- ხელშეკრულების თანახმად სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო 3 ეტაპად, მაგრამ ეტაპების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი ვერ იქნა;
- ხელშეკრულების თანახმად საავანსო გადახდები არ უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ზე მეტი, მაგრამ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად (ცვლილებების შესახებ გაფორმებულია 3 შეთანხმება) გაიზარდა 75%-მდე (მაშინ როდესაც „შემსრულებელი“ ითხოვდა 70%-მდე გაზრდას). შედეგად, წინასწარ გადარიცხული თანხებიდან 13,463,597 ლარი ირიცხებოდა დებიტორულ დავალიანებად;
- არ შესრულდა 2012 წლის 1 სექტემბრს გაფორმებული „2012 წლის 15 თებერვლის N2-ს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ N2-ს/3 შეთანხმების მოთხოვნა, რომლის თანახმად საბანკო გარანტიები 1,700,000 ლარზე და 633,600 ლარზე ძალაში უნდა ყოფილიყო 2013 წლის 1 მარტამდე;
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი უნდა განეხორციელებინა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის ბრძანებით შექმნილ კონტროლის ჯგუფს.

რომელიც შეიქმნა ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-4 თვეს - 2012 წლის 6 სექტემბერს. გარდა ორი მოხსენებითი ბარათისა, რომელიც ქვემოთ არის განხილული, ვერ იქნა წარმოდგენილი კონტროლის ჯგუფის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ქვემოთ დეტალურად არის განხილული აღნიშნული შეუსაბამოებისა და ხარვეზების დამადასტურებელი დოკუმენტები და ფაქტები.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის N09-ს განკარგულებით პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობა) სამშენებლო სამუშაოებისათვის საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „არტესს“ შორის ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსების მიზნით ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის 21,120,000 ლარის გამოყოფა. ფაქტიურად გამოყოფილი იქნა 16,105,143 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 16,104,402 ლარი.

2012 წლის 15 თებერვალს მთავრობის კანცელარიამ შპს „არტეს“-თან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულება N2-ს (ღირებულებით 21,120,000 ლარი) პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების საფუძველს წარმოადგენდა, ზემოთ აღნიშნული საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის N09-ს განკარგულება „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე“ რომლის თანახმად ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის (სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელება) შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - ამ კანონით დადგენილი წესები არ ვრცელდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებზე. აქედან გამომდინარე მთავრობის კანცელარიამ თვითონ გაავრცელა მისი მოქმედება შესაბამისი განკარგულებით და გაფორმებული ხელშეკრულებით. შესაბამისად, დაცული უნდა ყოფილიყო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. მაგრამ უგულებელყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნა, რადგანაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მოტივით ზემოხსენებული სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების შემთხვევაში არ არსებობდა ვითარება, რომელიც არც რეალურ საფრთხეს უქმნიდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ან რომელსაც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებისათვის და არც სამშენებლო სამუშაოების ვადები იყო შეზღუდული, რამეთუ ხელშეკრულების შესრულების ვადა თავიდანვე გათვალისწინებული იყო ექვს თვეზე, რომელიც შემდგომში ხელშეკრულების სხვა პირობებთან ერთად იქნა შეცვლილი და გადავადებული 2012 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე;

ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელებულიყო არქიტექტორული, კონსტრუქციისა და საინჟინრო დოკუმენტაციის

(ხელშეკრულების დანართი N1, რომელც ხელშეკრულების გაფორმებისას არ არსებობდა და როგორც ზემოთ აღინიშნა დასრულებულ იქნა შპს „არქიტექტორები.ჯ2“-ის მიერ მხოლოდ 2012 წლის 31 ივლისს), გეგმა-გრაფიკის (ხელშეკრულების დანართი N2, რომელიც წარმოდგენილი ვერ იქნა) და შესაბამისი ხარტაღრიცხვის (ხელშეკრულების დანართი N3, რომელიც წარმოდგენილი იქნა წინასწარი სავარაუდო ხარტაღრიცხვის რეესტრის სახით) მიხედვით, ხოლო 4.1 პუნქტის მიხედვით, ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო 3 ძირითად ეტაპად, ხელშეკრულების პირობებში მითითებული ვადების შესაბამისად (ხელშეკრულების პირობები სადაც განსაზღვრული იქნებოდა სამუშაოების ეტაპები და ვადები წარმოდგენილი ვერ იქნა); 4.2, 4.3 და 4.5 პუნქტის თანახმად (ხელშეკრულებაში არ არის 4.4 პუნქტი, მაშინ როდესაც არის 4.3 და 4.5 პუნქტები) ყოველი ძირითადი ეტაპის და ქვეეტაპების მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო აქტის გაფორმებით, რისთვისაც მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ - ფორმა N2 და ფორმა N3, რომელსაც თან უნდა დართოდა სსიპ „ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საინჟინრო-სამშენებლო საექსპერტო დასკვნები შესრულებული სამუშაოებისა და ფასების შესახებ.

ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, პირველ ეტაპზე შესაძლებელი იყო, ანგარიშსწორება განხორციელებულიყო წინასწარი ანგარიშსწორებით - სახელშეკრულებო ღირებულების 25%-მდე, 5,280,000 ლარის ოდენობით, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში (გარანტიის არწარმოდგენის შემთხვევაში - ანგარიშსწორება მოხდებოდა სამუშაოს შესრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე).

ყოველ შემდეგ ეტაპზე (ქვეეტაპზე) ანგარიშსწორება განხორციელდებოდა (პუნქტი 4.5) შესრულებული სამუშაოს ღირებულების იმ პროცენტული ოდენობით ნაკლების გადახდა, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების რა პროცენტულ ოდენობასაც შეადგენდა „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მიერ წინასწარ გადარიცხული თანხა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის (მუხლი 8), დამრღვევ მხარეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,03%-ის ოდენობით. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებდა ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მხარეებს უფლება ჰქონდათ შეეწყვიტათ ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი ასევე იყო ერთ-ერთი მხარის მიერ 33 დღის განმავლობაში ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება. (ხელშეკრულების ეს მოთხოვნები არ გამოყენებულა)

ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი, „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის უნდა წარმოედგინა საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტის - 633,000 ლარის ოდენობით, რომელიც ძალაში იქნებოდა 2012 წლის 15 ნოემბრამდე.

სამშენებლო კომპანია შპს „არტესს“ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საბანკო გარანტიების წარმოდგენით, წინასწარი გადახდის სახით 2012 წლის 27 თებერვალს მიღებული აქვს 1,000,000 ლარი, ხოლო 20 მარტს - 700,000 ლარი.

შემდგომში, სამშენებლო კომპანია შპს „არტესი“ 2012 წლის 28 მაისის Nს-05 წერილით მიმართავს საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს, რომ კომპანიას მომსახურე ბანკთან ამოწურული ჰქონია ყოველგვარი საკრედიტო ლიმიტი (როგორც თანხით, ასევე ქონებრივი უზრუნველყოფით). ამავე დროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის, პირველ ეტაპზე სასწრაფოდ საჭირო იყო შესაბამისი ძირითადი მანქანა-

დანადგარებისა და სამშენებლო მასალების შესყიდვა, რისთვისაც ავანსის სახით ესაჭიროებოდა დარჩენილი თანხის მთლიანად ათვისება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ითხოვდა ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების თანხის ჩარიცხვას, მაგრამ საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე, რაც შეადგენდა 3,580,000 ლარს.

ნაცვლად იმისა, რომ მთავრობის კანცელარიას მიეღო შესაბამისი ზომები და გარკვეულიყო შექმნილ სიტუაციაში, მთავრობის კანცელარიის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი და უფროსის მოადგილე დაეთანხმა 3,580,000 ლარის წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენილობას. საკითხი განხილულ იქნა მთავრობის სხდომაზე და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 მაისის N34-ს განკარგულებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ხსენებული ხელშეკრულების მიმართ არ განხორციელებულიყო „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები (წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის აუცილებლობა). იმავე დღესვე ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება (შეთანხმება N2-ს/1) და I ეტაპის წინასწარი გადასახდელის დარჩენილ 3,580,000 ლარზე შპს „არტესი“ განთავისუფლებული იქნა საბანკო გარანტიის წარმოდგენისაგან, რომელიც გადარიცხული იქნა 2012 წლის 31 მასს.

ხელშეკრულების ცვლილებიდან ერთ თვეში, 2012 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის სახელზე შემოსულია შპს „არტესის“ მორიგი წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მას ამოწურული აქვს მიღებული ავანსი და შემდგომი შეკვეთების განსახორციელებლად ესაჭიროება ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების თანხების გაზრდა. სხვადასხვა არადამაჯერებელ მიზეზებთან ერთად, აღნიშნავს, რომ საავანსო პროცენტის გაზრდის აუცილებლობა გამოწვეულია აგვისტოს თვეში ევროპის ბაზარზე არსებული დასვენებებით, რის გამოც აუცილებელი ყოფილა შეკვეთების დაუყოვნებლივ განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ითხოვდა წინასწარი ანგარიშსწორებისთვის ხელშეკრულებით დადგენილი 25% გაზრდილიყო 50%-მდე, რაც დაკმაყოფილდა. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის N38-ს განკარგულებით და 2012 წლის 5 ივლისის N2-ს/2 შეთანხმებით ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლითაც ხელშეკრულებას დაემატა ახალი 6.2.3. ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მეორე ეტაპზე ანგარიშსწორება 5,280,000 ლარზე შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო წინასწარ, რაზედაც მიმწოდებელი კვლავ თავისუფლდებოდა საბანკო გარანტიის წარმოდგენისაგან. აღნიშნული თანხა გადარიცხული იქნა 2012 წლის 10 ივლისს.

მთავრობის კანცელარიას 2012 წლის 9 ივლისს შპს „მშენიწერვისთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება N4-ს, პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით, რაც მოიცავდა სისტემატური კონტროლის გაწევას იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, რომელიც უნდა შესრულებულიყო დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, გამოყენებული მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების პროექტში გამოყენებული სტანდარტებისა და ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის გათვალისწინებით. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 25,000 ლარს, ხოლო პერიოდი მოიცავდა ვადას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 1 დეკემბრამდე. მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო ყოველთვიურად, 5 ეტაპად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით შესრულებული სამუშაოებისთვის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად შპს „მშენიწერვისისთვის“ შესრულებული აქვს 3 ეტაპი, რაშიც გადახდილია 15,000 ლარი.

2012 წლის 19 ივლისს, მთავრობის კანცელარიაში შპს „არტესის“ მიერ წარმოდგენილია 858,523 ლარის შესრულებული სამუშაოს (დემონტაჟის) შესახებ ფორმა 2 და ფორმა 3 და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული თანხა ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში „დაუმთავრებელ აქტივებში“. ხოლო ხელშეკრულების 6.5 პუნქტის საფუძველზე 2012 წლის 25 ივლისს გადარიცხული იქნა 430,000 ლარი.

2012 წლის 03 აგვისტოს N ს-17 წერილით, შპს „არტესის“ მიერ მთავრობის კანცელარიაში წარმოდგენილია 655,273 ლარის შესრულებული სამუშაოს (სკოლის დემონტაჟის) შესახებ ფორმა 2 და ფორმა 3 და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული თანხა ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული არ არის. შემდგომ 2012 წლის 13 აგვისტოს N ს-19 წერილით, შპს „არტესის“ მიერ იგივე სამუშაოზე წარმოდგენილია 561,607 ლარის დაზუსტებული ფორმა 2 და ფორმა 3, რომელსაც არ ახლავს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული თანხა ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში „დაუმთავრებელ აქტივებში“. ხოლო ხელშეკრულების 6.5 პუნქტის საფუძველზე 2012 წლის 16 აგვისტოს გადარიცხული იქნა 280,065 ლარი.

2012 წლის 20 სექტემბერს, მთავრობის კანცელარიაში შპს „არტესის“ მიერ წარმოდგენილია 1,220,675 ლარის შესრულებული სამუშაოს (სკოლის დემონტაჟის) შესახებ ფორმა 2 და ფორმა 3 და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული თანხა ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში „დაუმთავრებელ აქტივებში“. ხოლო ხელშეკრულების 6.5 პუნქტის საფუძველზე 2012 წლის 24 სექტემბერს გადარიცხული იქნა 610,337 ლარი.

2012 წლის 21 აგვისტოს, მაშინ როცა შპს „არტესთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დამთავრების ეტაპზე უნდა ყოფილიყო, მთავრობის კანცელარიაში შემოსულია შპს „არტესის“ მორიგი წერილი, N2 ხელშეკრულებაში ცვლილების თხოვნით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოკვეთილია სხვადასხვა პრობლემები (მოსახლეობასთან მოლაპარაკების გახანგრძლივება, შენობისა და საძირკვლების დემონტაჟისას აგურისა და გრუნტის ნაცვლად აღმოუჩენიათ „რკინა-ბეტონი“, შემსყიდველის მხრიდან ყოფილა დატებითი მოთხოვნები და მითითებები და ა.შ.), რის გამოც ის ითხოვდა სამუშაოს შესრულების ვადის გადაწევას 4 თვით, 2013 წლის 1 იანვრამდე, და შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გადაწევას 2013 წლის 1 მარტამდე. ასევე შპს „არტესი“ დამატებით ითხოვდა რამდენჯერმე შეცვლილი პირობების ხელახალ გადასინჯვას - 50%-იანი წინაწარი ანგარიშსწორების (ერთხელ უკვე გაზრდილის) გაზრდა 70%-მდე, თანაც საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე. იქვე ითხოვდა ხსენებული თანხის ჩარიცხვასაც.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის სახელზე დაწერილი 2012 წლის 27 აგვისტოს N99-ს მოხსენებითი ბარათით, კანცელარიის ეკონომიკური სასახურის უფროსი აღნიშნავს, რომ დღის წესრიგში დადგარი იყო ცვლილებები, რომლებიც შეტანილი უნდა იქნას მთავრობის კანცელარიასა და „არტესს“ შორის გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში და იმეორებს შპს „არტესის“ ზემოხსენებული წერილიდან ყველა მისი მოთხოვნა. წერილს აქვს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის რეზოლუცია „საკითხს მიეცემა სათანადო (შესაბამისი) მსვლელობა მხოლოდ პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების“ შემდეგ.

2012 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა შეთანხმება N2-ს/3 „2012 წლის 15 თებერვლის N2-ს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმად შეიცვალა შემდეგი საკითხები:

- სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2013 წლის 1 მარტამდე;
- პირველ, მეორე და მესამე ეტაპზე ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელებულიყო წინასწარი ანგარიშსწორებით, თითოეულ ეტაპზე ანგარიშსწორების თანხა არ უნდა აღემატებოდა სახელშეკრულებო ღირებულების 25 პროცენტს - 5,280,000 ლარს, შემდეგი პირობების დაცვით: პირველ ეტაპზე: 1,700,000 ლარზე საბანკო გარანტიის წარმოდგენით, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 2012 წლის 15 ნოემბრამდე და ძალაში უნდა ყოფილიყო 2013 წლის 1 მარტამდე (ეს მოთხოვნა არ შესრულებულა, წარმოდგენილი ძველი გარანტია ძალაში იყო მხოლოდ 2012 წლის 15 ნოემბრამდე); 3,580,000 ლარზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე; მეორე და მესამე ეტაპზე 5,280,000 ლარზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე, (შემსრულებელი ითხოვდა საავანსო გადახდების 70%-მდე გაზრდას, ფაქტიურად გაზრდილი იქნა 75% - მდე);
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად „შემსრულებლის“ მიერ 2012 წლის 15 ნოემბრამდე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტის - 633,600 ლარის ოდენობით, რომელიც ძალაში იქნებოდა 2013 წლის 1 მარტამდე (ეს მოთხოვნაც არ შესრულებულა, წარმოდგენილი ძველი გარანტია ძალაში იყო მხოლოდ 2012 წლის 15 ნოემბრამდე).

აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე 2012 წლის 24 სექტემბერს შპს „არტესს“ წინასწარ გადაერიცხა 4,224,000 ლარი.

უნდა აღნიშნოს, რომ „2012 წლის 15 თებერვლის N2-ს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2012 წლის 1 სექტემბრს გაფორმებული N2-ს/3 შეთანხმების საფუძველი შექმნილია შეთანხმების გაფორმების შემდეგ 2012 წლის 7 ოქტომბერს.

კერძოდ: კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი წარდგენილ 2012 წლის 7 ოქტომბრის N107-ს მოხსენებით ბარათში აღნიშნულია. რომ:

- 2-3 თვით გახანგრძლივდა მოლაპარაკებები მოსახლეობასთან სამშენებლო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული საცხოვრებელი სახლების შესყიდვასთან დაკავშირებით;
- 1 თვით გახანგრძლივდა არსებული შენობის და საძირკვლის დემონტაჟი, ვინაიდან აგურის კედლებისა და გრუნტის ნაცვლად, მოულოდნელად აღმოჩნდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სამშენებლო პროცესის მიმდინარეობისას წარმოიქმნა დამატებითი მოთხოვნები, რამაც გამოიწვია სამშენებლო პროექტში შესაბამისი გაუთვალისწინებელი ცვლილებების განხორციელება, მიმდინარე ეტაპზე პროექტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად აუცილებელი გახდა დამატებით 3 სართულიანი შენობის აშენება და შესაბამისად დამატებითი შესყიდვების განხორციელება;

აღნიშნულიდან გამომდინარე მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ითხოვს მოხდეს N2-ს ხელშეკრულებაში ცვლილებები (რომელის უკვე ერთი თვის წინ მოხდა) და წინასწარ ანგარიშსწორების მაქსიმალური დასაშვები ზღვარი განისაზღვროს ხელშეკრულების ღირებულების 70%-ის - 14,782,000 ლარის ოდენობით. ამასთან მიზანშეწონილად მიიჩნევა ხელშეკრულებიდან ამოღებული იქნებოდა ის მუხლები, რომლებიც მიმწოდებელს ავალდებულებდა შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფორმა2, და ფორმა3) გადაეგზავნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში“ ექსპერტიზისათვის, ამით მიმწოდებელი აიცილებდა „ზედმეტ დანახარჯებს“ (ეს არ

შესაბამება რეალობას, რადგან ექსპერტიზის ხარჯებს საბოლოოდ იხდიდა დამკვეთი, რადგან ექსპერტიზის ხარჯები შეტანილია ხარჯთაღრიცხვებში), მით უმეტეს, რომ მისი 2012 წლის 6 სექტემბრის N02-ს ბრძანებით პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების ხარისხის კონტროლის, საპროექტო დოკუმენტაციასთან, სამშენებლო ნორმებსა და წესებთან, სტანდარტებთან, სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან მათი შესაბამისობის მუდმივი კონტროლის, გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დეფექტების დროული აღმოფხვრის მიზნით, შექმნილი იყო კომისია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ყოველდღიური კონტროლის ორგანიზება და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაზე სისტემატურ ზედამხედველობა, შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (მუხლი 13) უნდა განეხორციელებინა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის ბრძანებით შექმნილ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ N2-ს ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2012 წლის 15 თებერვლის, მხოლოდ 2012 წლის 6 სექტემბერს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის N02-ს ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც განახორციელებდა ყოველდღიური კონტროლის ორგანიზებას და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაზე სისტემატურ ზედამხედველობას და შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. აღნიშნული კომისიის მუშაობის ამასახველ დოკუმენტად წარმოდგენილია კონტროლისა და ზედამხედველობის მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის 2012 წლის 22 ოქტომბრის N122-ს მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს აცნობებს, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ახალი შენობის მონიტორინგის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო კონტრაქტორს დამკვეთისათვის მიაწოდებინა სრული ინფორმაცია განხორციელებულ შესყიდვებზე, დამკვეთს უნდა განეხორციელებინა აუდიტორული და საექსპერტო გამოკვლევები ამ ინფორმაციებზე და შესრულებულ სამუშაოებზე და ა.შ., ანუ ყველაფერს იმას, რაც უნდა გაეკეთებინა შენობის მონიტორინგის განხორციელების მისივე თავმჯდომარეობით არსებულ კომისიას გაცილებით ადრე. გარდა აღნიშნულისა, იგი ითხოვდა ასევე პროექტის შეთანხმებას მერიის შესაბამის სამსახურებთან (ე.ი. პროექტი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებულიც არ ყოფილა), ასევე დამკვეთს (ანუ კანცელარიას) მიმართავს მიიღოს გადაწყვეტილება გაგრძელებას თუ არა მშენებლობა არსებული პროექტის შესაბამისად (რომლის საორიენტაციო ღირებულება უკვე გამხდარა 27,003,491 ლარი, ნაცვლად თავდაპირველი 21,120,000 ლარისა), თუ შეცვლილიყო პროექტი შემცირების მიმართულებით.

აღნიშნული მოხსენებითი ბარათიდან გამომდინარეობს, რომ რეალურად კანცელარია გაურკვევლობაშია ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებულ და გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან იწყება (ჯერ კიდევ დაუმთავრებელი) პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) ერთი უწყებიდან სხვა უწყებაზე გადაცემისა და უკან დაბრუნების პროცესი. კერძოდ, 2012 წლის 3 ოქტომბერს მთავრობის კანცელარიაში შემოსულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის N15-ს წერილი, რომლითაც ითხოვდა ბალანსიდან ბალანსზე გადაცემოდათ ქ. თბილისში ათონელის N25-შიმდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მთავრობის კანცელარიის სარგებლობაში არსებული ქონება.

იმავე დღესვე, „პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გასატარებელ

დონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის N09-ს განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ოქტომბრის N52-ს განკარგულებით შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად კანცელარიისათვის გამოყოფილი 21,120,000 ლარიდან უკვე დახარჯული 16.104,402 ლარი „უნდა გამოყოფოდა საქართველოს მთავრობის კანცელარიას“, ხოლო დარჩენილი 5,015,597 ლარი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას - N2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასასრულებლად.

ამავე განკარგულებით, მთავრობის კანცელარიას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის უნდა გადაეცა მთავრობის კანცელარიის მიერ შპს “არტესის“ მიმართ არსებული მოთხოვნები, შპს “არტესის“ მიერ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებით განსაზღვრული მოცულობები და მათი ღირებულება და სამუშაოების საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაცია.

2012 წლის 3 ოქტომბრს გამოიცა პრემიერ-მინისტრის N21 ბრძანება, რომლითაც პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სამუშაოები, რომელიც ქონების სახით ირიცხებოდა მთავრობის კანცელარიის ბალანსზე, სარგებლობის უფლებით, უვადოდ და უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. ამავე ბრძანებით მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ხსენებული ქონების ბალანსიდან მოხსნა და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის.

2012 წლის 4 ოქტომბერს, მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციულ დეპარტამენტის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა N108-ს წერილით აცნობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ ათონელის ქ. N25-ში მდებარე შენობა-ნაგებობები შესაბამისი ფართებით და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმდინარე წლის 3 ოქტომბრის N21 ბრძანებით გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

2012 წლის 18 ოქტომბერს, მთავრობის კანცელარიაში შემოსულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის N146-ს წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის - 2012 წლის 18 ოქტომბრის N1-ს ბრძანებით, ზემოხსენებული ქონება სარგებლობის უფლებით, უვადოდ და უსასყიდლოდ გადაეცა სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ითხოვდა შესაბამისი ცვლილებების შეტანას საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის N09-ს განკარგულებაში.

2012 წლის 19 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრი N121-ს წერილით მიმართავს სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ათონელის ქ. N25-ში მდებარე შენობა-ნაგებობები, რომელიც მათ გადაეცათ, უნდა გადაცემოდა მთავრობის კანცელარიას სარგებლობაში უსასყიდლოდ და უვადოდ. შესაბამისად, 2012 წლის 19 ოქტომბერს, სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს N1-ს ბრძანებით, ათონელის ქ. N25-ში მდებარე ზემოხსენებული შენობა-ნაგებობები სარგებლობის უფლებით, უვადოდ და უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს მთავრობის კანცელარიას.

2012 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის N53-ს განკარგულებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის N09-ს განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული 2012 წლის 3 ოქტომბრის N52-ს განკარგულება, რომლითაც 5,015,597 ლარი უნდა გამოყოფოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას - N2-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების

დასასრულებლად, ხოლო საქართველოს მთავრობის კანცელარიას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის უნდა გადაეცა მთავრობის კანცელარიის მიერ შპს „არტესის“ მიმართ არსებული მოთხოვნები, შპს „არტესის“ მიერ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებით განსაზღვრული მოცულობები და მათი ღირებულება, ასევე სამუშაოების საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაცია.

2012 წლის 19 ოქტომბერს მთავრობის კანცელარიაში შემოსულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის N21-ს წერილი, რომლითაც ითხოვდა არ მიეცათ მსვლელობა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2012 წლის 18 ოქტომბრის N18-ს წერილისათვის.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი 22 ოქტომბრის N124-ს მოხსენებითი ბარათით მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს აცნობებს, რომ მთავრობის კანცელარიასა და შპს „არქიტექტორები ჯი-2“-ს შორის 2011 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1-ს ხელშეკრულების პირობების თანახმად, 2012 წლის 31 ივლისს მომხდარა საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმება საპროექტო დოკუმენტაციის სრულ მიწოდებაზე და აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციის სრული პაკეტი კი, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, 20 ოქტომბერს გადაუციათ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლისა და ზედამხედველობის მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარისთვის. იმავე დღესვე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს მიმართავს მეორე მოხსენებით ბარათით N126-ს, რომლითაც აცნობებს, რომ პრემიერ-მინისტრის ოფისის სამუშაოების განსახორციელებლად მთავრობის კანცელარიამ გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შპს „არქიტექტორები.ჯი2“-თან (2011 წლის 20 დეკემბრის N1-ს), შპს „არტესთან“ (2012 წლის 15 თებერვლის N2-ს) და შპს „მშენიანსერვისთან“(2012 წლის 9 ივლისის N4-ს), რომელთა სამუშაოების სრული დოკუმენტაცია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, გადაეცა ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს - მთავარ ბუღალტერს.

2012 წლის 22 ოქტომბრითაა დათარიღებული შპს „არტესის“ N24-ს წერილიც, რომლითაც იგი წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დოკუმენტების - ფ.N2 და ფ.N3-ისა და ლ.სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, ითხოვს ანგარიშსწორების განხორციელებას. ასევე , 2012 წლის 22 ოქტომბრითაა დათარიღებული შპს „არტესის“ მორიგი N25-ს წერილიც, რომელშიც აღნიშნავს, რომ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას შემსყიდველის მხრიდან დამატებითი მოთხოვნებისა და მითითებების საფუძველზე სამშენებლო პროექტში განხორციელდა ცვლილებები, შეიცვალა მშენებლობის გრაფიკი, რის გამოც იგი კვლავ ითხოვს შეთანხმება N3-ს/3-ით განსაზღვრული სამუშაოს დამთავრების ვადა 2012 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად გადავადებული იქნას 2013 წლის 10 მარტამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2013 წლის 1 მაისამდე. (შპს „არტესის“ აღნიშნული მოთხოვნები არ შესრულებულა).

2012 წლის 23 ოქტომბერს, წარდგენილი N127-ს მოხსენებითი ბარათით კი კონტროლისა და ზედამხედველობის მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარე აცნობებს ახალ მოსაზრებებს შენობის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. კერძოდ, კონტრაქტორმა უნდა დაასრულოს „ა“ ბლოკის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, შეასრულოს „ბ“ ბლოკის საკონსერვაციო სამუშაოები; გარდა ამისა, უნდა დაევალოს რომელიმე საპროექტო ორგანიზაციას მოკლე ვადებში დაამუშაოს „ბ“ ბლოკის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა წინასწარ უკვე შესყიდული ძვირადღირებული მასალებისა და ტექნოლოგიური სისტემების მაქსიმალური გამოყენება. აქედან

გამომდინარეობს, რომ უნდა შექმნილიყო ახალი პროექტი, რომელიც უნდა მორგებოდა უკვე შესრულებულ შესაყიდევებს და სამუშაოებს.

2012 წლის 24 ოქტომბრს განხორციელდა ათონელის N25-ში მდებარე უძრავ ნივთზე საქართველოს მთავრობის კანცელარიის სარგებლობის უფლების რეგისტრაცია.

ყოველიველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არ შესრულებულა N2-ს ხელშეკრულების და მასში განხორციელებლი ცვლილების ძირითადი მოთხოვნა ხელშეკრულების ობიექტის „ქ.თბილისში, ათონელის 25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების“ დასრულება 2012 წლის 31 დეკემბრისთვის და არც ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობები არ გამოყენებულა. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრისათვის კანცელარიის ერიცხებოდა: 13,463,597 ლარის ღირებულების დებიტორული დავალიანება შპს „არტესის“ მიმართ და 3,108,478 ლარის (მათ შორის: შპს „არქიტექტორები.ჯი.2“- მიერ N1-ს ხელშეკრულებით შესრულებული 452,672 ლარის საპროექტო სამუშაოები; შპს „არტესის“ მიერ N2-ს ხელშეკრულებით შესრულებული 2,640,805 ლარის - დემონტაჟის სამუშაოები და შპს „მშენიანების“ მიერ N4 ხელშეკრულებით შესრულებული 15,000 ლარის - ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოები) დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი.

შემდგომ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 მაისის N470 განკარგულებით, მთავრობის კანცელარიას დაევალა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთვის ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში მდებარე უძრავი ქონების და ამ ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნების და ვალდებულებების, გადაცემა. ამავე განკარგულებით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა აღნიშნული უძრავი ქონების ბაზაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ამასთან, საზოგადოებას გადაეცა აგრეთვე ზემოხსენებულ ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები. ამავე განკარგულებით უნდა შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი საქართველოს მთავრობის კანცელარიის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, იუსტიციის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც უზრუნველყოფდა მთავრობის კანცელარიასა და შპს „არტესის“ შორის პრემიერ-მინისტრის ოფისის (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სარეგისტრაციო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი ყველა სახის ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესწავლას, შეფასებას, შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენას და შეიმუშავებდა წინადადებებს სამოქმედო გეგმას, შესრულების ვადებს და სხვა დეტალებს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 მაისის N470 განკარგულების შესაბამისად, აგრეთვე მთავრობის კანცელარიასა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2013 წლის 30 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 4 ივნისის N1-1/142 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 10 ივნისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად მთავრობის კანცელარიის მიერ შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიას“ გადაეცა ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში მდებარე შენობის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სამუშაოების საპროექტო, სამშენებლო, საზედამხებველო და საფინანსო დოკუმენტაცია და ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები. მათ შორის 13,463,597 ლარის ღირებულების დებიტორული დავალიანება შპს „არტესის“ მიმართ და 3,108,478 ლარის დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი.

შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 ივნისის N554 განკარგულებით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა განხორციელებინა ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში მდებარე უძრავი ქონების შეტანა შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ კაპიტალში და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, მათ შორის ფინანსური (ავანსები, საჯარიმო სანქციები და სხვა) და სამართლებრივი ვალდებულებების გადაცემა.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 16 ივლისის N1/1-579 ბრძანებით შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა ქ.თბილისში, ათონელის N25-ში მდებარე 2135 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - ღირებულებით 2,393,500 ლარი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები - ღირებულებით 2,000,800 ლარი სულ - 4,394,300 ლარი. ქონების ღირებულება განსაზღვრულია აუდიტორული კომპანიის 2013 წლის 4 ივლისის დასკვნის საფუძველზე.

შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ დაევალა უზრუნველყო საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის N29-ს განკარგულების საფუძველზე საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „არქიტექტორები.ჯი.2“-ს შორის 2011 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შპს „არქიტექტორები.ჯი.2“-ის მიერ მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, მთავრობის კანცელარიასა და შპს „არტესის“ შორის 2012 წლის 15 თებერვალს გაფორმებული N2 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „არტესის“ მიერ შესრულებული მოცულობებისა და ღირებულების, ასევე შესრულებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის საექსპერტო მომსახურებების შესყიდვა. მასვე უნდა განხორციელებინა შპს „არტესისა“ და მისი ქვეკონტრაქტორების მიერ სამშენებლო სამუშაოებისათვის შესყიდული მასალებისა და დანადგარების, აუდიო და ვიდეო სისტემების, ავეჯისა და სხვა ინვენტარის ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ღირებულების დადგენის საექსპერტო მომსახურებების შესყიდვა, სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის მომენტიდან განკარგულების გამოცემამდე შპს „არტესის“ მიერ შესრულებულ სამუშაოებზე წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით დეფექტური აქტების მომზადების საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში არსებული ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სრული საპროექტო დოკუმენტაციის საპროექტო მომსახურებისა და საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ოქტომბრის N15-ს განკარგულებით დაევალა შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“, შპს „არტესის“ მიერ შეძენილი ქონების, ქვეკონტრაქტორების მიმართ მოპოვებული უფლებებისა და ვალდებულებების მიღება, აგრეთვე დაევალა ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვა.

შემდგომ პერიოდში, ქ. თბილისში, ათონელის ქ. N25-ში მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საკითხები კანცელარიის საქმიანობას აღარ წარმოადგენს და შესაბამისად სცილდება აუდიტის მასშტაბს.

ამრიგად, 2012 წელს შპს „არტესისათვის“ ავანსად გადარიცხული 16,104,402 ლარი გამოყენებულია არაგონივრულად და არაეფექტურად, ხოლო მიზნობრივად გამოყენება - შემდგომი შესწავლის საგანია.

წამყვანი აუდიტორი

ზურამ ყავლაშვილი

უფროსი აუდიტორი

თეიმურაზ გოდუაძე

აუდიტორი

შალვა ჯავახიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი

რუსუდან აბულაშვილი